... ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი · შაბათი 28 სექტემბერი 2002 №184 (1706) · ფასი 50 თეთრი


# რუსეთი და ოქტომბერი

## გამოცდა ისტორიაში სპორტული სიით

## რუსებმა ერთხელ უკვე გაგვაწითლეს. მეორედ ნუღარ გავწითლდებით



საფიქრებელია, რომ 12 ოქტომბრის მერე ქართულ ფეხბურთში რაღაც-რაღაცეები შეიცვლება. ოღონდ ეს რაღაც რა იქნება, რუსეთთან მატჩმა, უფრო ზუსტად კი მისმა შედეგმა უნდა გაარკვიოს. დამარცხების შემთხვევაში პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ეგებ უფრო მეტად ჩაუღრმავდეს ნაკრების დაბეჩავებაზე პასუხისმგებლობის აღებისა და ამ პასუხისმგებლობის ყველა დამნაშავეზე სამართლიანად გადანაწილების საკითხს. თუმც ისიც ცხადია: რომ გავარდეს და რუსეთს მოვუგოთ, ფედერაციისთვისაც და ნაკრებისთვისაც თვითკმაყოფილება უგუნურობა იქნება.

მაგრამ, მოდით, მარჩიელობას ნუ დავიწყებთ და ის ვთქვათ, რაც უკვე გადაწყვეტილია, ან თითქმის გადაწყვეტილი.

საქმეში ჩახედული ხალხი ირწმუნება, ორიოდ კვირაში საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს რევაზ არველაძე ჩაიბარებსო. ამ ცნობას ვერწმუნოთ და არველაძის მუშაობის შედეგს დაველოდოთ.

თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, თითქმის ისიც გადაწყვეტილი საქმეა, რომ ეროვნული გუნდი აპრილში ამხანაგურად გაეჯიბრება დანიის ნაკრებს მისსავე მოედანზე. იცოცხლეთ, ძლიერ გუნდთან გაჯიბრება კარგი რამაა და სასარგებლოც, მაგრამ ერთი რამ ხინჯად მაინც გვრჩება გულში — დანიამდე საქართველოს ირლანდიასთან და შვეიცარიასთან აქვს სათამაშო და ისე გამოდის, ჩვენი ნაკრები ჯერ ოფიციალურ მატჩებში ითამაშებს და მერე გაივარჯიშებს. თუმც სულ არარაობას, რასაც დაჩვეულნი ვართ, ეს ვარიანტი მაინც სჯობს.

დანიამდე ჯერ დიდი დროა, რუსეთამდე ძალიან ცოტა, ხვალ კი საქართველოს ჩემპიონატის მორიგი ტურია.

ამ სანაკრებო ციებ-ცხელებაში ეროვნული ჩემპიონატი, ისედაც რა დონისაა და, სულ მთლად ჩავარდა. მაგრამ მაინც — ხვალ „ლოკომოტივი" მასპინძლობს „ტორპედოს" და ჩვენი პატარა ჩემპიონატის მასშტაბით ეს დიდი ამბავია. სხვა რომ არაფერი, გაიხსენეთ ჩემპიონატში ამ გუნდების ბოლო შეხვედრა, რომელიც ჩაშლის პირას იყო. მოკლედ, „ლოკომოტივს" და „ტორპედოს" ერთმანეთთან თავისი ანგარიშები აქვთ.

საეჭვოა, დღეს ვაკეში ქვის სროლა იყოს, რაც წესად იქცა ქუთაისურ სტადიონზე და რომელსაც ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი მეტისმეტად არასერიოზულად უყურებს. დისციპლინარები, სიტყვით რომ ძალიან მკაცრები არიან, როცა ჯერი საქმეზე მიდგება, ამგვარი დანაშაულისთვის მეტისმეტად რბილდებიან. ამის და ქუთაისური პოლიციის უნიათობის ბრალი უნდა იყოს, რომ ქუთაისში ერთი პრინციპული თამაშიც არ ჩაივლის ქვის სროლის გარეშე. აგერ ახლაც, კომიტეტმა „ტორპედოს" სტადიონს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია აკმარა და რა? მეორე მატჩზე ქვა არ გავარდება?

ამ თავისამატკივებელ პრობლემას ასე იოლად არ მოეველება, ტორპედოელი მალხაზ ასათიანი კი ქვასროლიების ამბებს ალბათ შოტლანდიაში შეიტყობს — მისი „რეინჯერსში" გადასვლის საქმე, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია.

ფეხბურთი ფეხბურთად და დღეს რაგბიცაა. ბორჯღალოსნები დუბლინში დაეჯახებიან ირლანდიას და უთუოდ დამარცხდებიან. მაგრამ რაგბის მცოდნე კაცს ირლანდიასთან მარცხი გულს არ გაუტეხს — მთავარია, ჩვენმა ნაკრებმა 13 ოქტომბერს თბილისში რუსებთან ივარგოს.

ცამეტამდე კი 12 ოქტომბერია.


**30 სექტემბრიდან**

ორშაბათობით და ხუთშაბათობით, შემდგომში სამშაბათობითაც

**მო $\frac{1}{X}$ X $\frac{X}{2}$ იკითხეთ «კროკო»**

**გაზეთი** პროფესიონალებისთვის

ანგარიშები, კოეფიციენტები, ზადე-ცხრილები

**ფასი 20 თეთრი**

# ახალი კადრები

## ჟორდანიამ პეტრიაშვილის შემცვლელი კანცელარიაში იპოვა



მერაბ ჟორდანია

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციაში ყრილობის შემდეგ საკადრო ცვლილებებია. ფედერაციამ ამ ეტაპზე სამი ახალი თანამშრომელი მიიწვია. საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტს შეემატა ნუკა რატიანი, რომელიც ამ სფეროში საკმაოდ გაწაფული ქალბატონი ყოფილა და თავის დროზე სახელმწიფო კანცელარიაში მუშაობდა. ის ფედერაციის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატის დავით პეტრიაშვილის ფუნქციებს შეასრულებს და მისი უმთავრესი საქმე ფიფა-უეფასთან კავშირი იქნება: „დავით პეტრიაშვილი თავის მოვალეობას უნაკლოდ ასრულებდა და როცა მან ფედერაცია დატოვა, საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტი ძალიან დასუსტდა. ნუკა რატიანის მოსვლით კი კომიტეტის მუშაობა, ვიმედოვნებ, ძველებურად გაგრძელდება" — გვითხრა პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ.

ფედერაციაში გაიზარდა ვიცე-პრეზიდენტის შტატი. ალექსანდრე ჩივაძესა და რომან შოთაძეს ორშაბათიდან ლერი სულაბერიძე შეუამხანაგდება. ის თბილისის „დინამოში" ჟორდანიას პრეზიდენტობისას კლუბის დირექტორატის წევრი იყო: „უკვე დავიწყეთ მუშაობა პროფესიული საფეხბურთო ლიგის შესაქმნელად და ვიცე-პრეზიდენტის შტატის გაზრდაც ამიტომ დაგვჭირდა. ვეცდებით, ჩემპიონატის უკეთ ჩატარების მიზნით მოვიზიდოთ ინვესტიციები, გამოვნახოთ და დავაინტერესოთ ჩემპიონატის სპონსორი. ეს საქმე ორ-სამ დღეში არ მოგვარდება. თუმც, იმედი მაქვს, უახლოეს მომავალში ეს საკითხი მოწესრიგდება" — ამბობს პრეზიდენტი.

ფედერაცია საგაისოდ ფიფასგან მორიგ ფინანსურ დახმარებას ელის, რაც ნაკრების საწვრთნელი ბაზის ჩაფიქრებულზე მეტად კეთილმოწყობასა და გაფართოებას უნდა მოხმარდეს.

ფედერაციაში, ალბათ დროებით, გაუქმდა პრესატაშეს პოსტი — მამუკა კვარაცხელია კი, ვინც აქამდე ამ ფუნქციას ასრულებდა, ფედერაციის უსაფრთხოების კომიტეტს უხელმძღვანელებს.

ყოველივეზე უფრო დაწვრილებით მერაბ ჟორდანია ფედერაციაში დღეს 2 საათზე ისაუბრებს. პრეზიდენტთან ერთად ჟურნალისტებს შეხვდება რევაზ არველაძეც, რომელიც ვარშავაში გამართულ უეფას ეროვნულ გუნდთა მწვრთნელთა სემინარზე ალექსანდრე ჩივაძის გვერდით იმყოფებოდა.

**კობა ინასარიძე**

# ქვანიამ ქალები ხინჩაგაშვილს დაუთმო

**გუშინ** საქართველოს ქალთა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები მოეწყო. ისე, ასარჩევ-გამოსარჩევი ბევრი არაფერი გახლდათ. ძველმა თავკაცმა ვაჟა ქვანიამ „ქალების პატრონობა" აღარ ისურვა და ფეხბურთის ფედერაციის თავკაცების დაჟინებული მოთხოვნით ეს ტვირთი საშეჯიბრო კომიტეტის თავკაცმა, ცნობილმა ვეტერანმა ფეხბურთელმა შოთა ხინჩაგაშვილმა წამოიკიდა.

„უპირველესად მადლობა ვაჟა ქვანიას გაწეული სამუშაოსთვის, დიდად ვარ გარკვეული ამ საქმეში-მეთქი რომ ვთქვა, არავინ დამიჯერებს. რამდენიმე დღეში საქმის მცოდნე ხალხთან ერთად დავსხდებით და სამოქმედო მონახაზსაც ჩამოვაყალიბებთ. დანარჩენს კი დრო გამოაჩენს. როგორც ვიცი, საქართველოში ქალთა რამდენიმე გუნდი იყო და ჩემპიონატიც ტარდებოდა. მოკლედ, ტრადიცია ყოფილა და საქმეც უნდა დაიძრას".

შოთა ხინჩაგაშვილი უიმედოდ ნამდვილად არ გამოიყურებოდა, მაგრამ ფაქტია, იმ დღიდან, როცა ჩვენში ქალები ბურთაობდნენ (ერთხანს საკმაოდ სოლიდურადაც) გვარიანი დრო გავიდა. ხინჩაგაშვილს უარს ბევრიც ვერ შეჰკადრებს, სპონსორიც ალბათ გამოჩნდება, მაგრამ სად გინდა მოძებნო იმდენი მდედრი ფეხბურთელი, რამდენიმე გუნდი დააკომპლექტო და ჩემპიონატი ჩაატარო?

**მამუკა კვანტალიანი**



შოთა ხინჩაგაშვილი: ქალებთან მუშაობა კარგია

# ოთარ კორღალიძეს აზერბაიჯანი არ ჩაუწერეს

ცხრამეტწლამდელები. ამხანაგური მატჩი

**საქართველო 3:1 აზერბაიჯანი**

თბილისი. 27 სექტემბერი. 11.10 საათი. ბორის პაიჭაძის სტადიონი... 

| |
|---|
| 1:0, 2:0 იაშვილი (13, 44), 2:1 მურად ზადე (63), 3:1 გრიგორიევი (87)<br>კაშიამ ვერ გაიტანა პენალტი (87, მეკარე) |
| საქართველო: კალანდაძე, ა. კალაძე, იმედაშვილი, ლ. ქელიძე (გ. ახალაია 67), კაშია, ფირცხალავა (სილაგავა 56), მჭედლიძე (თ. დემეტრაძე 70), დარსანია (გრიგორიევი 56), ლილუაშვილი (ბარბაქაძე 56), ს. იაშვილი (მძინარიშვილი 56), წილოსანი<br>მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე |
| გაფრთხილება: ჰუსეინოვი (20), ქელიძე (23) |
| მსაჯი: გ. ვადაჭკორია |

**მამუკა კვანტალიანი**

ქართველი და აზერბაიჯანელი ცხრამეტწლამდელების გუშინდელი დაპირისპირების მოყოლა კარგი ამბით დავიწყოთ. ჩვენებურებმა მეორე თამაშიც მოუგეს მეზობლებს. კორღალიძის გუნდმა გუშინწინდელთან შედარებით უკეთესი ფეხბურთი ითამაშა, განსაკუთრებით პირველ ტაიმში. აბა, ერთ დღეში ნაკლოვანებები როგორ აღმოიფხვრებოდა და რატომღაც მგონია, რომ არც ერთ თვეში ხოევლება ამ საქმეს.

ახლა მოულოდნელზეც ვისაუბროთ. ცუდია, როცა შენი ქვეყნის საფეხბურთო მომავალი საერთაშორისო მატჩს თამაშობს და ოქმი არ ივსება. სხვა თუ არაფერი, ისტორიას მაინც დარჩებოდა გუშინდელი გამარჯვება. მე ისედაც ვიცი ნაკრების წევრების ვინაობა, ისიც გამიგია, ვინ, სად ბურთაობს, მაგრამ დილაადრიან შეწუხებული და ფეხბურთის სანახავად, საქმის საკეთებლად მისული დაინტერესებული კაცი მობურთალების ავან-ჩავანის გასაგებად ჭირის ოფლში არ უნდა ცურავდეს.

ფედერაციის გასაგონად კი ამას ვიტყვით, წარმატებისთვის ცოტა მეტი ყურადღება და უკეთესი პირობებია საჭირო. კარგია მორალური მხარდაჭერა, თუმც ბელგიის და უკრაინის წასაქცევად არასაკმარისია.

გუშინწინდელთან შედარებით, გუშინ მუშტაიდში შედარებით მშვიდობა სუფევდა. მეტოქეებმა ფეხბურთის სათამაშოდ მოიცალეს და პირველ ტაიმსაც არა უშავდა რა. ქართველები შეტევას ცდილობდნენ, აზერბაიჯანელები კონტრიერიშის წამოწყებას კი ახერხებდნენ, მაგრამ მასპინძელთა მეკარეს ვერანაირ პრობლემას ვერ უქმნიდნენ.

თამაში ის იყო ხურდებოდა, რომ იაშვილმა გაიტანა. წილოსანის ფლანგური გადაცემის შემდეგ მეურვე სისწრაფეში დაჩაგრა და ერთი შეხებით შეაგდო.

ტაიმის ბოლოსწინა წუთზე მანვე მეორედ დაალონა სტუმრები. კარისკენ ზურგით მდგომმა მარჯვენათი მიიღო ბურთი, უმალ მარცხენა ფეხზე გადმოიტანა და შემოტრიალებით შორეულ კუთხეში ზუსტად დაარტყა.

კორღალიძემ და მისმა თანაშემწეებმა იმდენი ახალგაზრდა გასინჯეს, სამ გუნდს ეყოფოდა. როგორც ამბობენ, არიან ისეთებიც, ვინც საქმეში ჯერ არ გვინახავს, არადა, გუშინწინ და გუშინ თავგამოჩენილებსაც არაფრით ჩამოუვარდებიანო. პოდა, იმათგან საუკეთესო თვრამეტის შერჩევაა უძნელესი საქმე. მწვრთნელებმა ეს თუ მოახერხეს, მაშინ წარმატებულ თამაშზე ფიქრიც შეიძლება.

მეორე ტაიმში აზერბაიჯანელები მასპინძელთა ნახევარს გაუშინაურდნენ. მართალია, ჩვენმა ბიჭებმა ზედიზედ ორი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს, მაგრამ სტუმრებიც მწარედ იჩხვლიტებოდნენ.

ბარბაქაძის ლამაზად შესრულებული თავურის შემდეგ ბურთი ხარიხას მოხვდა, ლილუაშვილის ტექნიკურად დარტყმული კი კარს მცირედით ასცდა. ამის შემდეგ ქართველები მოდუნდნენ და უკანა ხაზში ბზარებიც გაჩნდა. ალბათ, ეს ლაშა ჭელიძის ტრავმითაც იყო გამოწვეული. ტორპედოელს კუნთი დაეჭიმა და შეცვლა ნაადრევად ითხოვა.

აზერბაიჯანელებმა კი ზედიზედ სამჯერ საგოლედ შეუტიეს. პირველად გოლისგან მეკარემ გვიხსნა, მეორედ ძელმა გადაგვარჩინა, ხოლო მესამედ კალანდაძესთან პირისპირ შეყრილმა მურად ზადემ აუღელვებლად მოათავსა ბურთი ქართველთა კარის ბადეში.

თამაშის ბოლო ისევ ჩვენებისა იყო და დამთავრებამდე სამი წუთით ადრე მესამედ გაიხარეს კორღალიძის შეგირდებმა. ქართველებმა პენალტის დარტყმის უფლება მოიპოვეს. კაშიას დარტყმული ბურთი მეკარემ კი მოიგერია, მაგრამ დამატებაზე გრიგორიევმა ივარგა და საბოლოო წერტილიც დასვა.

თერთმეტმეტრიანი კი მთლიანად დინამოელი თორნიკე დემეტრაძის დამსახურება იყო. ოქროცოვიძის გამჭოლ პასს დემეტრაძემ უნარიანად შეურჩია ადგილი. ნაადრევად გამოიცნო შეტევის მიმართულება, ორ მცველსაც გაასწრო, მაგრამ კარში ხეირიანად დარტყმა არ აცალეს. მეურვემ უკნიდან მაისურაზე ჩაავლო ხელი და კარის წინ დასცა.



სანდრო იაშვილმა (№10) გუშინწინდელ ერთს გუშინ ორი გოლი მიაყოლა

**გერმანია**

II ბუნდესლიგა. VII ტური

უნიონი 2:2 ფიურტი

ბრაუნშვაიგი 1:1 კიოლნი

ვალდჰოფი 2:5 ზანქტ პაული

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა X ტური

ლევერკუზენი (მ) 2:0 ძემნიცი

სამხრეთ რეგიონალლიგა XII ტური

ზაარბრიუკენი 2:0 აინტრახტი (მ)

შვაინფურტი 2:2 უნტერჰახინგი

ოფენბახი 1:0 ბაიერნი (მ)

**საფრანგეთი**

I დივიზიონი. IX ტური

მარსელი 3:1 აიაჩო

**ჰოლანდია**

I დივიზიონი. VI ტური

ალკმაარი 4:1 გრონინგენი

II დივიზიონი. VI ტური

ვენლო 3:2 ჰელმონდი

ვოლენდამი 2:2 ვოლენდამი

სიტარდი 2:0 ტელსტარი

დორდრეხტი 2:3 კამბური

ეინდჰოვენი 0:1 ჰერაკლესი

ჰაარლემი 1:0 ემენი

სპარტა 1:1 იგლსი

**პოლონეთი**

VIII ტური

ამიცა 1:1 ვისლა

**თურქეთი**

VII ტური

გალათასარაი 2:0 ისთამბულსპორი

**დანია**

სუპერლიგა. X ტური

ორჰუსი 1:3 ვიბორგი

**ავსტრია**

მაქსბუნდესლიგა. XII ტური

აუსტრია 3:1 კარნტენი

**შვეიცარია**

A ჯგუფი. XIV ტური

სერვეტი 2:0 ციურიხი

B ჯგუფი. XIV ტური

ლუგანო 2:0 კრიენსი

**ფინეთი**

პლეი აუტი

ვაასა 2:1 პაავინლინა

იოკერიტი 3:3 ტპს

**ბელგია**

I დივიზიონი. VII ტური

შარლერუა 1:3 ანდერლეხტი

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. X ჯგუფი

## საქართველო — რუსეთი

თბილისი. ლოკომოტივი. 12 ოქტომბერი. 20 საათი

# ფედერაციამ რუსეთს საათი არ დაუთმო

**12 ოქტომბრის** საქართველო — რუსეთი 20 საათზე დაიწყება — განაცხადა გუშინ ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ.

— „კირხ სპორტი" ჩვენი ეროვნული გუნდის თამაშების ტრანსლაციის უფლების მფლობელია, სწორედ მათი მოთხოვნით გადაწყდა მატჩი საღამოს რვა საათზე დაგვეწყო. რუსული ტელეარხების თხოვნა თამაშის ერთი საათით ადრე დაწყებას ითვალისწინებდა, თუმც ჩვენ მათ ვერაფრით დავეხმარებით, რჩევა კი არ დაგვიმალლებია, რუსეთის სახელმწიფო ტელევიზიამ „კირხ სპორტთან" უნდა გამონახოს საერთო ენა.

ვალერი ჩოლარიასვე თქმით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უარი შეუთვალა ირლანდიელ კოლეგებს, რომლებიც საქართველო — ირლანდიის მატჩის დაწყებას 22 საათზე ითხოვდნენ. სავარაუდოდ, გუნდები ცხრა საათზე გავლენ სათამაშოდ.

არ არის გამორიცხული, შეალედური შეთანხმება გაფორმდეს შვეიცარიასთან. კუნის გუნდს საღამოს ათ საათზე სურს საქართველოსთან გაჯიბრება, ჩივაძეს ცხრაზე. ყველაფერი „კირხ სპორტის" სიტყვაზე კია დამოკიდებული, მაგრამ დღეს იმის ვარაუდი შეგვიძლია, რომ საქართველო — შვეიცარია 21.30 საათზე დაიწყოს, აცხადებს ჩოლარია.

**გამუკა ძგანტალიანი**

# დანიასთან ამხანაგობა კარგია

## მორტენ ოლსენმა ჩივაძე კოპენჰაგენში დაპატიჟა

**რუსეთთან** 12 ოქტომბრის მატჩს თუ რა მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი დატვირთვა აქვს, ამაზე ლაპარაკიც კი უხერხულია. მაგრამ ამ თამაშით რომ ყველაფერი არ მთავრდება, ფაქტია.

მომდევნო შეხვედრები შესარჩევ ციკლში ჩვენს ნაკრებს ისევ შინ აქვს — 29 მარტს ირლანდიას ვუმასპინძლებთ, 2 აპრილს კი შვეიცარიას, 11 ივნისს ირლანდიას ვსტუმრობთ და ამ შუალედში რომ კარგი სპარინგ-პარტნიორი დაგვჭირდება, წყალი არ გაუვა.



მორტენ ოლსენი

პოდა, თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, საქართველოს ნაკრები აპრილში დანიისას გაეჯიბრება, ოღონდ სტუმრად. ამის თაობაზე წინასწარი შეთანხმებაც უკვე მიღწეულია დანიის ეროვნული გუნდის მთავარსარდალ მორტენ ოლსენთან. ეს იდეა ვარშავაში გაჩნდა, როცა ოლსენი ევროპული ნაკრებების მწვრთნელთა კონფერენციაზე ალექსანდრე ჩივაძესა და რევაზ არველაძეს შეხვდა.

**დავით თავართქილაძე**

# 13 ოქტომბერი: ასათიანის პირველი დღე აიბროქსზე

**ქუთაისის „ტორპედოსა"** და ახალგაზრდული ნაკრების შემტევ მალხაზ ასათიანს რომ „გლაზგო რეინჯერსში" ელიან, ჯერ კიდევ ნაკრების შვეიცარიელებთან თამაშამდე გაუწყეთ.

ახლა კი ზუსტად გაცხადდა თარიღი, თუ როდის შედგამს „ზარდელი" ბიჭი ფეხს „აიბროქსზე".

12 ოქტომბრის საქართველო — რუსეთის მატჩის მეორე დღეს, რეინჯერსელი შოთა არველაძე და პოტენციური რეინჯერსელი მალხაზ ასათიანი ერთად გაემგზავრებიან გლაზგოში.

21 წლის ქუთაისელს, ცხადია, ვარჯიშებზე და ალბათ „რეინჯერსის" მეორე გუნდის საკონტროლო თამაშებშიც გამოცდიან.

თუ ალექს მაკლიში ასათიანს თავისი გუნდისთვის ისურვებს, ტრანსფერი მყისვე ვერ შედგება — ევროპაში სატრანსფერო სეზონი ზამთარში გაიხსნება. მაგრამ მთავარი ხომ ეს არაა — ნიჭიერი ასათიანისთვის საქართველოს ჩემპიონატში თამაშს უთუოდ „რეინჯერსში" ბურთაობა სჯობს.

**დავით თავართქილაძე**



მალხაზ ასათიანს (შუაში) გლაზგოში შოთა არველაძე ჩაიყვანს



ნუგზარ ვარდოსანიძის ფოტო

გოჩა ტყებუჩავას, რევაზ არველაძეს და ნიკა ჩხეიძეს, სავარაუდოდ, ახალგაზრდულ ნაკრებს ჩააბარებენ

# დინამო 2000-01 ახალგაზრდულ ნაკრებში

## რევაზ არველაძეს მწვრთნელობას უპირებენ

**ეროვნულ ნაკრებში** მწვრთნელთა შეცვლის საკითხი ჯერ არ დამდგარა, ყოველ შემთხვევაში, 12 ოქტომბერს რუსეთის წინააღმდეგ ჩვენს ეროვნულ გუნდს ალექსანდრე ჩივაძე გაიყვანს.

მწვრთნელები ჯერ არც ახალგაზრდულ ნაკრებში შეუცვლიათ, თუმც ეს ალბათ, მალე მოხდება.

არაოფიციალური ინფორმაციით, ახალგაზრდულ ანუ ოლიმპიურ გუნდს რუს თანატოლებთან მატჩის შემდეგ ახალი დამრიგებელი ეყოლება.

სავარაუდოდ, 21-წლამდელებს რევაზ არველაძე ჩაიბარებს. მოგეხსენებათ, არველაძე კიოლნის საფეხბურთო სკოლის კურსანტია და რამდენიმე თვეში A ლიცენზიას აიღებს.

რევაზ არველაძეს ზურგს უმაგრებს თბილისის „დინამოში" ხანმოკლე, მაგრამ ნაყოფიერი სამწვრთნელო პრაქტიკაც — მეთორმეტე ეროვნულის პირველ ეტაპზე სწორედ ის წვრთნიდა უპატრონოდ მიტოვებულ „დინამოს".

კიდევ ერთი დეტალი. თუ ვარაუდი გამართლდა და ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი არველაძე გახდება, მისი თანაშემწეები ასევე „დინამოდან" უცნაური მიზეზებით დათხოვნილი გოჩა ტყებუჩავა და ნიკა ჩხეიძე იქნებიან.

**დავით თავართქილაძე**

# რა ხდება თქვენთან?

## მშვიდობაა! უპასუხეს თბილისიდან ლიბერეცს

**რუსები** ისევ დაბომბვით იმუქრებიან, საკუთარ ტერიტორიაზე კი ჩეჩნებთან ომი აქვთ გაჩაღებული. საოქტომბრო საქართველო — რუსეთი კი კარსაა მომდგარი და მიუხედავად იმისა, რომ თამაში დათქმულ დროს აუცილებლად თბილისში ჩატარდება, მათი საფეხბურთო კავშირი მაინც ვერ მშვიდდება.

„რა ხდება თქვენთან" — გუშინ რამდენჯერმე შეეხმიანენ ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს რუსი კოლეგები.

„ჩვენთან სიმშვიდეა, თქვენთან კი არ უნდა იყოს მთლად სიწყნარე. მატჩის ჩატარებას საფრთხე არ ემუქრება" — პასუხობს ქართული მხარე და კარგი იქნება, ჩვენი ფეხბურთის თავკაცები ბოლომდე თუ შეინარჩუნებენ პრინციპულ პოზიციას.

რუსეთი რუსეთად, მაგრამ თბილისში სასტუმროდ ჩეხური „ლიბერეცი" ემზადება და საქართველო რუსეთის საზღვართან შექმნილ დაძაბულ ვითარებას ისინიც ჩაუფიქრებია.

„საქართველოში სტუმრობით „ლიბერეცს" საფრთხე ხომ არ ემუქრება?" — იწერება ჩეხეთის საფეხბურთო ასოციაციის გენერალური მდივანი პეტერ ფუჩეკი.

ფეხბურთის ფედერაცია და თბილისის „დინამო" დამაიმედებელ პასუხს დღესვე აახლებენ მომავალ სტუმრებს, რომლის ტექსტი დაახლოებით ასეთია — თბილისში მშვიდობაა, გვეწვიეთ და ვითამაშოთ.

**გამუკა ძგანტალიანი**

# რეხვიაშვილს ლატვიური ოქრო არ მთმოზა

**საქართველოს** ეროვნული გუნდის ნახევარმცველ ალექსანდრე რეხვიაშვილს დიდი გამოცდა ელის. მთელი ლატვია იქაური ჩემპიონატის „ოქროს მატჩის" მოლოდინშია...

მართალია, ლატვიური ფეხბურთი დიდი ვერაფერი ბედენაა, მაგრამ იქ მოთამაშე ქართველების გამო, ვფიქრობთ, ჩვენი ინტერესი გამართლებულია.

კვირას „სკონტო" ჩემპიონატის ლიდერ „ვენსტპილსს" უმასპინძლებს და თუ მოუგო, ოქროს მედალსაც ცალ ხელს შეავლებს. რიგაში ვერ წარმოუდგენიათ, რომ „ვენტსპილსის" დამარცხების შემდეგ „სკონტო" დარჩენილ თამაშებში ჩემპიონობას დაკარგავს.

„ვენსტპილსი" კი კბილებს ილესავს და მასპინძელთათვის რევანშის აღებას აპირებს. საქმე ისაა, რომ წინა სეზონში რიგელებმა ბოლო ტურში აწაპნეს ტიტული ხვალინდელ სტუმრებს.

მიმდინარე ჩემპიონატში ეს გუნდები სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს — პირველად „ვენსტპილსმა" 3:2 სძლია მეტოქეს, მერე „სკონტომ" იმარჯვა 2:0, ბოლოს კი მშვიდობიანად დაშორდნენ.

რიგელთა თავკაცი ალექსანდრ სტარკოვი იმედიანადაა. მისი პრობლემა ტრავმირებულ ფეხბურთელთა სიმრავლე იყო, თუმც ნაწილობრივ ამასაც ეშველა — ალექსანდრე რეხვიაშვილი და ზურაბ მენთეშაშვილი უკვე სრულად გამოჯანმრთელდნენ და არაფერს უჩივიან. მესამე ჩვენებური ლევან კოღალიძე კი ჯერაც ფეხს იშუშებს და მისი თამაში გამორიცხულია.

აქვე ვთქვათ, რომ ორიოდ დღის წინ „სკონტომ" ლატვიის თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩში 5:1 დაჩაგრა „აუდა" და ფინალში გავიდა. სწორედ „აუდასთან" მატჩში დაუბრუნდა გუნდს ზურაბ მენთეშაშვილი.

— ურთულესი მატჩი გველის. მეტოქის დასამარცხებლად არაფერს დავიშურებთ. ძალიან მინდა, კიდევ ერთხელ გავხდე ლატვიის ჩემპიონი. საბედნიეროდ, ტრავმა უკვე აღარ მაწუხებს და სრულ მზადყოფნაში ვარ — განაცხადა რიგის „სკონტოს" კაპიტანმა ალექსანდრე რეხვიაშვილმა.

**კახა შალამბერიძე**

გიო ახვლედიანის



სვეტი

# ფასი

ორი კვირა დარჩა საქართველო — რუსეთის გახმაურებულ თამაშამდე, რომლის ბილეთების ფასიც „ლოკომოტივის" სტადიონზე იქნება 10, 20, 30 და 50 ლარი.

საერთოდ, მსოფლიოში ფეხბურთის ცქერა იაფი არ არის. თუმცა, მსოფლიოში ბევრი რამ არის ისეთი, რაც ჩვენთან არ არის და ამიტომ, ძნელია იმის გამოთვლა, რაც იქ არის, რამდენად საჭიროა აქ.

უბრალოდ, ძნელი დასადგენია, რა ადგილებია ისეთი „ლოკომოტივის" სტადიონზე, რომ იქ ჯდომა და საქართველო — რუსეთის ცქერა ორმოცდაათი ლარი ღირდეს. გასაგებია, რომ ერთი ჩვეულებრივი ბილეთი, ვთქვათ, „სტემფორდ ბრიჯზე", ჩვენებურ 70 ლარს უკაკუნებს, მაგრამ ეს 70 ლარი იქ მისული კაცის ნახევარი დღის ხელფასზე ბევრად ნაკლებია. ანუ იგულისხმება, რომ „ლოკომოტივზე" 50 ლარიან ადგილზე მილიონერი უნდა დაჯდეს. მაგრამ, რა განსხვავებაა, ვთქვათ, 20 ლარიანსა და 50 ლარიან ბილეთებს შორის ჩვენს სტადიონზე? მე თავად მაქვს შენახული საქართველოს ნაკრების ერთი საერთაშორისო მატჩის ბილეთი, რომელიც ჩვენ ფულზე ბარე 160 ლარი ღირს, მაგრამ ამ მაგალითებით ვერაფერს შევცვლით, იმიტომ, რომ საქართველოს სტადიონებზე არ არის ისეთი ადგილები, ფანჯრებიანი და საწოლოთახიანი (ასეთები ევროპაში ბოლო დროს შემოვიდა) ლოჟები, რომელთა თითო წლით ქირაობა იქ მილიონიც კი ღირს და იმ შენი ლოჟის გასაღებსაც ჩაგაბარებენ. იქაც არ არის სავსე ასეთი ადგილები. არც ისეთი შეიმჩნევა ჩვენთან, ღვინო და ხამანწკიანი სენდვიჩი რომ შეუკვეთო (ეს ხამანწკიანი სენდვიჩი სწორედ რომ 50 ლარი ღირს).

მოკლედ, რისი თქმა მინდა. ასეთ ადგილებზე მაინცდამაინც დიდი გულშემატკივრები არ სხედან ხოლმე. იქ ბურჟუები სხედან. ბურჟუების სტადიონებზე საბოლოოდ შემოტყუების გეგმა ევროპაში საკმაოდ ნელა ხორციელდება. ქართველი ბურჟუასთვისაც ბევრი არაფერია ხუთი თუმანი, მაგრამ აქ საქმე სხვაშია.

საქართველო — რუსეთი სახალხო თამაშია. კარგი იქნებოდა, რომ რაც ბურჟუებს ბილეთები მორჩებოდათ, ისინი 50 ლარად არ ეყაროს სალაროებში და ბიჭები კი ლობეებზე გადაძრომას არ ლამობდნენ. აი, ეს იქნებოდა სახეირო. ჩემი ფასები ამ თამაშზე 5, 10 და 15 ლარია. მაგრამ მე ხომ არც სტადიონი ვარ და არც ფედერაცია? უბრალოდ მგონია, რომ საქართველოს ნაკრების თამაშებიდან ერთადერთში, იტალიის წინააღმდეგ და ისიც იმ ცნობილ 0:0-ზე გადავიხდიდი 50 ლარს, თუ მექნებოდა, რა თქმა უნდა. გახსოვთ, შემეჩხერებული ტრიბუნები საქართველო — ინგლისის მატჩისას, ის ბილეთის ფასის ბრალი იყო.

„ლოკომოტივი" კი პატარაა, მაგრამ მაინც...

# ჩემპიონატი ქვის სროლაში

## სადისციპლინო კომიტეტმა გორელ და ქუთაისელ ჩუბინებს თითო ქულა დააუწერა

ქვები ყარეს ქუთაისში და გორში. სტალინის მშობლიური ქალაქის სტადიონის ტრიბუნიდან ნასროლმა წარბი გაუხეთქა ჯანი კარნევალის.

ქართული ტრადიციების და საქართველოს დამფასებელ-მოყვარულ იტალიელს არა მგონია, ამ შემთხვევამ ჩვენზე შთაბეჭდილება წაუხდინოს, კარნევალის ევროპული ტრიბუნებიდან ნასროლიც ბევრი უნახავს, მაგრამ ეს ისეთი შემთხვევაა, როცა თავს იმით ვერ დაიმშვიდებ, წამყვან საფეხბურთო ქვეყნებშიც ბლომად ისვრიან ქვებს და ბოთლებს ტრიბუნებიდანო. ბოლოს და ბოლოს, იქ ფეხბურთიც ნაღდი აქვს გულშემატკივარს





ალექსანდრე მიხანაშვილს (მარცხნივ) ომარ გოგიაშვილმა ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა

**ქვათა ყრის** უახლესი ქუთაისური ისტორია გავიხსენოთ:

2001 წლის 5 აგვისტო. „ტორპედო" — „კოლხეთი". ქუთაისელებმა ქვის სროლის ტექნოლოგიის დამუშავებას ჩაუყარეს საფუძველი. სფფ-ის სადისციპლინო სხდომაზე ქუთაისურ სარბიელს გაფრთხილება აკმარეს.

იმავე წლის 25 სექტემბერი. ქუთაისელებმა „ვიტ ჯორჯიას" მოედანზეც უყარეს ქვები, მატჩის შემდეგ კი ავტობუსი დაულეწეს. ამ შემთხვევის გამო დისციპლინარებმა ვერდიქტად უკანასკნელი გაფრთხილება გამოუტანეს „ტორპედოს" და 300-ლარიანი ჯარიმაც გამოუწერეს.

2002 წლის 10 მარტი. „ტორპედო" — „დინამოს" მატჩზე მისულნი ქვის სროლას აღარ დასჯერდნენ და პოლიციას დიდი ჯაფა დაადგა ტრიბუნებზე ატეხილი ჩხუბისას თბილისელი ფანები სტადიონიდან რომ გაერიდებინა. დისციპლინართა რეაქცია თვალის დახუჭვას უფრო ჰგავდა — პირობითი დისკვალიფიკაცია „ტორპედოს" სტადიონს სეზონის ბოლომდე.

23 სექტემბერი. ქუთაისი და ისევ „ტორპედო" — „დინამო", ისევ ქვები და სკანდალურად დამთავრებული მატჩი.

ქვის სროლის თემას მიეძღვნა სფფ-ის სადისციპლინო კომიტეტის გუშინდელი საგანგებო სხდომა.

ქუთაისამდე გორში მომხდარი გაარჩიეს. შეგახსენებთ: „დილა" — „ვიტ ჯორჯიას" მატჩისას მაყურებლის პროვოკაციაზე წამოეგო ვიტელი ლევან მელქაძე, რომელმაც ტრიბუნაზე შეკრებილთ აგინა, „ჯუნგლების" რეაქციამაც არ დააყოვნა — ტრიბუნიდან ერთ-ერთის ნასროლი ქვა კი კარნევალის მოხვდა. არბიტრმა მესხმა მელქაძე გააძევა, მანამდე „დილას" უფროსი ალექსანდრე მიხანაშვილი დაითხოვა სათადარიგოთა სკამიდან, რომელსაც მოხსენებით პატაკში ვიტჯორჯიელი მეკარისთვის წყლიანი ბოთლის სროლა წაუყენა ბრალდებად.

მიხანაშვილმა გუშინ დისციპლინართა წინაშე იმართლა თავი, რატომ უნდა მესროლა ბოთლი მეკარისთვის, ასეთი რამ აზრად რომ მომსვლოდა, სამი მეტრიდან მიზანს არ ავაცდენდი. „მოედანზე გუნდის ორი ფეხბურთელი დავინახე წაქცეული, ექიმისკენ გავიხედე, სათადარიგოთა სკამის შორიახლოს ვერ დავლანდე, როგორც შემდეგ გაირკვა, ამ დროს ტრიბუნაზე ყოფილა, რისთვისაც მოგვიანებით გუნდიდან დავითხოვეთ. რადგან იმ მომენტში ექიმი არ იმყოფებოდა, წყლის ბოთლი მე თვითონ გადავუგდე ჩემს ფეხბურთელებს" — თქვა „დილას" უფროსმა.

მაგრამ დისციპლინარებმა გორელს არ დაუჯერეს და კახა მესხის პატაკს ენდნენ, სხვათა შორის, მესხმა გუშინდელ სხდომაზე დაუფარავად განაცხადა, დამნაშავე მეც ვარ, მატჩის სადავეები ხელიდან გამექცაო.

კომიტეტის წევრებმა კამათი დაიწყეს, თუ რა სასჯელი გამოეტანათ მიხანაშვილისთვის. ამ დროს იყოს, „დილას" უფროსმა გულუბრყვილოდ რომ განაცხადა, რა დისკვალიფიკაციაზე საუბრობთ, გუნდის ერთ-ერთი მეპატრონე ვარ და რა მნიშვნელობა აქვს სათადარიგოთა სკამზე ვიჯდები თუ ტრიბუნაზეო. მიხანაშვილის სიტყვებმა წყობიდან გამოიყვანა სხდომის თავმჯდომარე ომარ გოგიაშვილი, ხედავთ, დაგვცინის, ან მე ვიქნები ფეხბურთში, ან მიხანაშვილი, მოვითხოვ, მოიკვეთოს ეს კაცი ფეხბურთიდანო. მიუხედავად გოგიაშვილის ასეთი ტონისა, ემოციები მოგვიანებით დაცხრა, თუმც მიხანაშვილი მაინც მკაცრად დასაჯეს — ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია და 300-ლარიანი ჯარიმა გააყოლეს გზად გორელს.

— გაოცებული ვარ, ასე რატომ დამსაჯეს. ჩემს ნათქვამზე ყოველთვის პასუხს ვაგებ. სამწუხაროდ, ჩემს სიმართლეს ყური არ უგდეს, მსაჯ-ინსპექტორების მოხსენებას დაეყრდნენ. კი, ბატონო, იყოს ასე, მაგრამ ეს არ არის სამართლიანი გადაწყვეტილება, ჩემთვის კი მართლაც არა აქვს დიდი მნიშვნელობა, ტრიბუნაზე ვიჯდები თუ სათადარიგოთა სკამზე — გვითხრა ომარ გოგიაშვილის კაბინეტიდან გამოსულმა მიხანაშვილმა.

ქვების სროლისთვის ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია და 500-ლარიანი ჯარიმა გამოუწერეს გორის ცენტრალურ სტადიონს, ამიტომ უახლოეს საშინაო მატჩს „დილა" ნეიტრალურ მოედანზე გამართავს. სასჯელთან ერთად გორელებს ქვასროლია ჯგუფის დაშლაც დაავალეს, თორემ საერთოდ უფეხბურთოდ დავტოვებ გორსო, დაიქადნა გოგიაშვილმა.

მელქაძეზე კი თქვეს, ქართველ ფეხბურთელთა უმრავლესობის მსგავსად ზრდილობასთან მწყრალად არისო (ლევანმა წინა სხდომაზე დისციპლინარებს უყვირა და რექტორის კაბინეტის კარი გაიჯახუნა), მაგრამ არ ეგონოს სამაგიეროს ვუხდიდეთ, ამიტომ მინიმალურ სასჯელს, ორმატჩიან დისკვალიფიკაციას დავაჯეროთო.

ამის მერე დადგა ქუთაისში მომხდარი ინციდენტის გარჩევის დრო. მოასპარეზე „ტორპედოდან" ვლადიმერ პანოვი იყო მიწვეული.

ქვათა ყრა ქუთაისში 75-ე წუთზე დაიწყო „დინამოს" გოლის შემდეგ, რაც მატჩის ბოლოსაც გაგრძელდა. პანოვის აზრით, ეს იმან გამოიწვია, რომ 5 წუთით გაჩერებულ შეხვედრას მსაჯმა მხოლოდ ორი წუთი დაამატა.

ქუთაისში ქვის სროლის არაერთი შემთხვევის შედეგად სადისციპლინო კომიტეტის მიერ გამოტანილი მკაცრი თუ უკანასკნელი გაფრთხილებების და პირობითი დისკვალიფიკაციის შემდეგ დისციპლინარებმა გორელთა მსგავსად დასაჯეს „ტორპედოს" სარბიელიც. ეს გადაწყვეტილება სხდომის თავმჯდომარე ომარ გოგიაშვილმა ჩვენთან საუბარში ასე ახსნა:

„მერწმუნეთ, გორი ქვის სროლაში ქუთაისზე მაგარია. თანაც ჩათვალეთ, რომ განსხვავებული ვერდიქტი მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა, ამიტომ ორივე გუნდი ერთნაირად დავსაჯეთ".

**ბაჩა კვანტალიანი**



კახა მესხმა დანაშაული აღიარა

ბადრი კოპალეიშვილის ფოტო

საქართველოს 14 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
ეროვნული ლიგა

# 9 ტური

ანონსი

ზესტაფონი. ცენტრალური. 28 სექტემბერი. 17 საათი

### მეტალურგი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ი. კახიანი (თბილისი); კ. გაბრიაძე (ქუთაისი), კ. თბილელი (თბილისი); ა. ორდენიძე (რნი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში
დისკვალიფიცირებული: მელქაძე (ვიტ ჯორჯია)

ფოთი. ფაზისი. 28 სექტემბერი. 16 საათი

### კოლხეთი — დილა

მსაჯები: ს. კვირიკელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. სორდია

ზუგდიდი. ყვარა ყოფიანი. 28 სექტემბერი. 17 საათი

### მილანი — ბათუმი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ზ. მჭედლიშვილი (თბილისი); ჯ. ბიუშვილი (ქობულეთი); სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა

თბილისი. ეროვნული. 28 სექტემბერი. 19 საათი

### დინამო — მერანი

მსაჯები: მ. მაისურაძე; ზ. ხუციშვილი, მ. ჟორჟაძე (სამივე თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე
დისკვალიფიცირებული: მესხი (მერანი)

მარნეული. თეიმურ სტეფანია. 28 სექტემბერი. 17 საათი

### სიონი — გორდა

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ი. შალამბერიძე (თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: რ.ჩილაჩავა
დისკვალიფიცირებული: სიდამონიძე (სიონი), არსოშვილი (გორდა)

თბილისი. ლოკომოტივი (სათადარიგო მოედანი). 29 სექტემბერი. 17 საათი

### ლოკომოტივი — ტორპედო

მსაჯები: მ. მიქაბერიძე; მ. ულიაშვილი, ლ. სილაგავა (სამივე თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო



ხვალ ვაკეში „ლოკომოტივი" — „ტორპედოა", მეცხრე ტურის და მეთოთხმეტე ეროვნულის ერთ-ერთი უმთავრესი მატჩი.

ორი წლიწადია რიონისპირელთა და რკინიგზელთა საჩემპიონო დავას შევცქერით. ორჯერვე ქუთაისელებმა იძალეს.

მატჩამდე უპირატესობა „ტორპედოსია". საკუთარ სტადიონზე „ლოკომოტივს" ჯერაც ვერ წაუქცევია მეტოქე. თითქოს გუშინ იყოო, გაზაფხულზე, მეცამეტე გათამაშების დასკვნით ეტაპზე, ძოძუაშვილის „ტორპედომ" გივი დიდავას ბრწყინვალე გოლით სტუმრად უმტვრია კარი ცხადაძის „ლოკომოტივს".

ქუთაისში კი, კოტრიკაძის და ჯიშკარიანის დარიგებულმა რკინიგზელებმა ჯანაშიას ეფექტური გოლით კანილამ ქარს გაატანეს რიონისპირელთა მთელი წლის ნაჯაფი. იმ მატჩში „ლოკომოტივს" მეკარე ლომაია გაუძევეს, ხოლო მის ნაცვლად კარში ჩამდგარმა ივარდავამ პენალტი მოიგერია. თამაშს ალალ-მაყალი და არეულობა არ მოაკლდება.

ხვალ რკინიგზელთა ხერხემ-მერჯულ გერმანელი თავკაცის ლუის ცაცარიასის ბირველი სერიოზული გამოცდაა. მისი მოწინააღმდეგე ასევე უცხოტომელი ალექსანდრ შტელინია, რომელიც თბილისში მოსაგებად მოდის.



ტიერი ანრის ეინდჰოვენში ფული არ დაკლეს

# მაინც ილანძღებიან
## რად უნდა ტიერი ანრის სანთებელა?

ეს „**არსენალი**" კიდევ შარშია და ჩხუბობს! საქმე ეხება ამ კვირაში, ჩემპიონთა ლიგაში ნათამაშევ შეხვედრას ჰოლანდიური „პსვ ეინდჰოვენის" წინააღმდეგ, რომლის დროსაც სტადიონის ტრიბუნებიდან ლონდონელთა მისამართით რასისტული ლანძღვა-გინება ისმოდა.

„არსენალის" თავკაცი, არსენ ვენგერი: „ეს საშინელი მოსასმენი იყო. უეფა ვალდებულია, შემთხვევა განიხილოს და სანქციები მიიღოს. ტერორიზებულნი ნამდვილად არ გახლდით, მაგრამ ნებისმიერ სტადიონზე იკრიბება ხოლმე შერეკილ ადამიანთა ჯგუფი."

უეფა კი, მართლაც აპირებს ეინდჰოვენში მომხდარის ყურად ღებას და საკითხის 10 ოქტომბრისთვის დანიშნულ სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე განხილვას. აღსანიშნავია, რომ „არსენალის" ჩივილის შემდეგ თვის უეფას გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა აღიმაღლა ხმა და საფეხბურთო ოჯახს რასიზმის წინააღმდეგ ხმის ამაღლებისკენ მოუწოდა.

„უეფა დამოუკიდებლად ვერაფერს გახდება. საჭიროა ეროვნულ ფედერაციათა თანადგომა. მხარში უნდა ამოგვიდგნენ კლუბები, ფეხბურთელები, პოლიციელები, სტიუარდები და საერთოდ ყველანი" — ბრძანა აიგნერმა.

რაც შეეხება ეინდჰოვენში გამართული შეხვედრის კონკრეტულ მომენტებს, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ტიერი ანრის ორჯერ მიაყენეს შეურაცხყოფა, როდესაც იგი კუთხურის ჩასაწოდებლად, ტრიბუნასთან ახლოს მივიდა ამ ეპიზოდებში, სლოვაკ მსაჯს, ლუბოშ მიჩელს პლასტიკური ბილეთების წვიმაში თამაშის გაგრძელება ძალიან გაუჭირდა.

„მესროდნენ ხურდა ფულს, სანთებელებს, პლასტიკურ ბოთლებს და სხვა საგნებს, მაგრამ მე ამაზე საუბარი არ მსურს, რადგან ჩემი საქმე ფეხბურთია. ბუნებრივია, ყველაფერი მესმის, რასაც მიყვირიან, მაგრამ გინახავთ ოდესმე პასუხი მეკადრებინა? მე ჩემი საქმე მაქვს, მსაჯს — თავისი" — თქვა ანრიმ.

გარდა ხსენებული შემთხვევისა, უეფა „ფულემისა" და სპლიტის „ჰაიდუკის" შეხვედრაში მომხდარ ამბებსაც განიხილავს. ეს შეხვედრა უეფას თასისა გახლდათ, ხოლო „ვალენსიასა" და „ლივერპულის" მატჩი, რომელშიც ესპანელმა ქომაგებმა ემილ ჰესკი ლანძღეს — ჩემპიონთა ლიგისა.

**ბაჩუნა ძიძია**

# მიდი, შეიძრე ევროსასამართლოში

**ძველი ამბავია**, მაგრამ გაგრძელება ალბათ ექნება.

ჯერ კიდევ 1997-1999 წლებში როლან კურბისი „მარსელს" წვრთნიდა. ძალით ჩაითრიეს თუ ჩაჰყვა, უცნობია, თუმცა როლან კურბისი სატრანსფერო მაქინაციებში ამხილეს, დაუმტკიცეს და სასამართლოს ძალით მწვრთნელობა აუკრძალეს. ეს გასულ ზაფხულს მოხდა, თან ზუსტად მაშინ, როცა კურბისმა მეორედივიზიონელი „აიაჩო" პირველში ალაზევა და ახალი ამბიციებით მიდიოდა. მოკლედ, „აიაჩო" უმწვრთნელოდ დარჩა, მწვრთნელი კი უსაქმოდ.

მოკვეთილმა სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა, მაგრამ პასუხად ის მიიღო, რაც ადრე უთხრეს, მუსიე, თქვენი ხელობა დაივიწყეთ, რადგან ვერც ერთ დონეზე ველარ იმუშავებთო.

როლან კურბისმა რკინის ქალამნების ჩაცმა გადაწყვიტა და დაიმუქრა, ზემდგომ ორგანოებში გიჩივლებთ, ევროსასამართლოში წავალ, ჩემს უფლებებს მაინც დავიცავო.

კი, ბატონო, გვიჩივლეთო, უპასუხეს.

# რუდი ფიოლერი მიწვევამ შეაწუხა

„**ვერ წარმომიდგენია**, როგორ შევუხამო კონფედერაციათა თასი ჩვენს კალენდარს" — განაცხადა რუდი ფიოლერმა.



რუდი ფიოლერი

კონფედერაციათა თასი, მოგეხსენებათ, ფიფას მიერ ლამის ძალად დაწესებული ტურნირია, რომელზეც კონტინენტთა და მსოფლიოს ჩემპიონები თამაშობენ. ეს რომ ნაღდად ასეა, როგორც იქნა მიხვდნენ და ახლახან გადაწყდა, რომ 2005 წლის ტურნირი უკანასკნელი იქნება.

როგორც გერმანიის ნაკრების მწვრთნელის სიტყვებიდან ჩანს, ფიოლერს გაისად საფრანგეთში წასვლა (ტურნირი 18-29 ივნისს გაიმართება) არაფრად ეპიტნავება: „მე წინააღმდეგი ვარ, შეჯიბრზე მეორე შემადგენლობა გავაგზავნოთ, როგორც ეს 1999 წელს გავაკეთეთ. არადა, ბევრი კლუბი ფეხბურთელებს არც გამოუშვებს."

ფიოლერის ნათქვამი „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემაც დაადასტურა, „ბაიერნის" ფეხბურთელები კონფედერაციათა თასის გათამაშებაში მონაწილეობას არ მიიღებენ, მათ დასვენება სჭირდებათო.

სამაგიეროდ, ამ ტურნირში გერმანელთა მონაწილეობით ქვეყნის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი გერჰარდ მაიერ-ფორფელდერია დაინტერესებული. მისი აზრით, გერმანიას კონფედერაციათა თასზე წაბურთავება სწორედ რომ წაადგება.

2005 წელს კი ეს თასი სულაც გერმანიაში გათამაშდება, რაც მაიერ-ფორფელდერს 2006 წლის მსოფლიოს თასისთვის იდეალურ მოსამზადებელ ტურნირად ესახება.

მონაწილეებზე შეგახსენებთ: ევროპის ჩემპიონ და მასპინძელ საფრანგეთის გარდა ბრაზილია, კოლუმბია, აშშ, იაპონია, კამერუნი და ახალი ზელანდია ითამაშებენ. მერვე, საგანგებოდ მიწვეული გუნდი კი, მიხვდებოდით, გერმანიაა.

**სერგი ქორიძე**

# პირველი მაინც შტკბესია
## პაოლო მალდინიმ მამის გზა იუარა

**პაოლო მალდინი — იტალიის ნაკრებისა და „მილანის" ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელი. ის ერთ-ერთი საუკეთესოა ყველა დროის იტალიელ მცველთა შორის.**

**მონოლოგი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, მალდინიმ პირად საინტერნეტო გვერდზე გამოაქვეყნა**




### მე და ფეხბურთი

ფეხბურთელის ოჯახში დავიბადე. ფეხბურთზე ჩემი პირველი მოგონება სკოლის ასაკიდან იწყება. იმხანად, როგორც ყველა, თამაშით მხოლოდ ვერთობოდი. მაშინ მამაჩემი თავის მეგობრებთან ერთად ხშირად უყურებდა ჩემს ბურთაობას და შეამჩნია, რომ ეს საქმე ცუდად არ გამომდიოდა. მერე დავიწყე ვარჯიში „მილანის" სკოლაში, შემდეგ ახალგაზრდულ გუნდში გადამიყვანეს და თანდათანობით გართობა პროფესიაში გადაიზარდა.

თანამედროვე ფეხბურთი ძალიან განსხვავებულია იმისგან, ჩემი დებიუტისას რომ იყო, თუმცა მე მაინც ვაგრძელებ თამაშს და ეს საქმე ჯერაც მსიამოვნებს.

### მე – მეგოლე

როგორც მცველს, რა თქმა უნდა, მეტოქის კარზე დაგეშილი ყოფნა არ მომეთხოვება. მართლაც, კარიერის მანძილზე ბევრი გოლი არ გამიტანია და ამაში, ცხადია, პრობლემას ვერ ვხედავ. მახსოვს ის ემოცია, რომელიც 1994-95 წლების სეზონში გოლის გატანის შემდეგ განვიცადე. მაშინ მილანურ დერბიში „ინტერის" მეკარე ჯანლუკა პალიუკას კარი დავლაშქრე, გოლი მართლაც ლამაზი გამოვიდა.

### მე და მეტოქეები

მარადონა იყო საუკეთესო ფეხბურთელი, რომლის წინააღმდეგაც მითამაშია. უკვე ჩვიდმეტი წელიწადია, რაც იტალიის ჩემპიონატში გამოვდივარ. მსოფლიოში განთქმულ ფეხბურთელებს დავპირისპირებივარ: პლატინის, კარეკას, მათეუსს, თუმცა ამ სახელებზე მაღლა ერთი სახელი დგას და მას დიეგო არმანდო მარადონა ჰქვია. ის ნებისმიერი მცველისთვის ნამდვილი კოშმარი იყო. ჯერ მარადონა და მერე ყველა სხვა დანარჩენი.

### ჩემი საუკეთესო მატჩი

მიუხედავად იმისა, რომ არაერთ დიდ მატჩში მიმიღია მონაწილეობა, მათგან ჩემს მილანურ დებიუტს გამოვყოფ. 1985 წლის 20 იანვარს პირველად „უდინეზეს" წინააღმდეგ შევედი მინდორზე. ბატისტინი მოულოდნელად დაიმტვრა და მე ის შევცვალე. მაშინდელი ემოცია დღემდე ვერაფერმა დაჩრდილა.

### საუკეთესო და უარესი

საუკეთესო ხასიათზე მაშინ ვარ, როცა ვიგებთ, თუმცა, სამწუხაროდ, კარიერაში უიღბლო პერიოდიც მქონია. ყველაზე უარესი 1996-დან 1998 წლამდე იყო, თითქოს რაღაც მოჯადოებულ წრეში აღმოვჩნდით და თუ მანამდე იყო წლები, როცა თითქმის ყველაფერი მოვიგეთ, რისი მოგებაც შეიძლებოდა, ეს ორი წელიწადი აშკარად ჩავაგდეთ.

### ოცნება

ჩემთვის, ისევე როგორც ნებისმიერი ფეხბურთელისთვის, მსოფლიოს ჩემპიონობაზე სანუკვარი ოცნება არ არსებობს. თუმცა, სამწუხაროდ, ისე შეიძლება მოხდეს, რომ ეს სურვილი ვერ ავისრულო, რადგან 2006 წლამდე ძალიან შორია, მე კი არა მგონია, ჩემი კარიერა იქამდე გავაგრძელო, მით უმეტეს, სანაკრებო. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მითამაშია — მსოფლიოს თასის აღებას კი, სამწუხაროდ, ვერ ვეღირსე.

### სამომავლო გეგმები

ახლა ზუსტად ვერ ვიტყვი, როდის დავასრულებ ფეხბურთელის კარიერას, თუმცა ერთი რამ დანამდვილებით ვიცი — არასდროს გავხდები მწვრთნელი. მინდა, ხალხს წარმატებულ მოთამაშედ ვახსოვდე.

# ფიფას უთხრეს და გააკეთებინეს



ავღანეთის ნაკრები კორეელი მწვრთნელიანად მაინცდამაინც სოლიდურად არ გამოიყურება

**ავღანეთში** საბჭოთა ინტერვენციას ბევრ სხვა უბედურებასთან ერთად ისიც მოჰყვა, რომ ეს აზიური ქვეყანა 1984 წლიდან სრულ საერთაშორისო საფეხბურთო იზოლაციაშია.

არადა, ავღანეთის ფეხბურთის ფედერაცია 1933 წელს დაარსდა, ფიფაში 1948-ში გაწევრიანდა, თუმც 1984 წლის შემდეგ საკუთარ ნაჭუჭში გახლდათ შეყუჟული.

ჰოდა, ფეხბურთი და პოლიტიკა რამ გაყოო — იფიქრა და იმოქმედა იმან, ვისაც ამის შნო აქვს და ავღანურმა ფეხბურთმაც გუშინ საიზოლაციო ლენტი გაჭრა.

სამხრეთკორეულ ქალაქ პუსანში 27 სექტემბრიდან 13 ოქტომბრამდე აზიური თამაშები ჩატარდება, მათ შორის ფეხბურთშიც და ავღანეთის ეროვნული გუნდი სწორედ ამ ტურნირში გამოვა.

ცხადია, აზიური თამაშების საფეხბურთო მატჩები ფიფას ეგიდით გაიმართება და ფიფამ ყველანაირად შეუწყო ხელი ავღანურ ფეხბურთს — ნებართვის გარდა ავღანეთის ეროვნულმა გუნდმა ფიფასგან 40 ათასი დოლარი საჩუქრად მიიღო, რათა ტურნირზე დაუბრკოლებლად გამგზავრებულიყო.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გერმანული ბუნდესლიგა. სტატისტიკა 1963-2002

# ეს რა ხდება?!

## ბაიერნმა ორი გაკვეთილი გააცდინა და მაინც საუკეთესო მოსწავლეა





ნუ დარდობ გოგონა,
„ბაიერნს" ოცი წელი მაინც,
ვერავინ დაეწევა. თქვენ კი,
ჰერ ოტმარ, ბავშვებს ნუ
ატირებთ, ჩემპიონთა
ლიგაში მოგება დაიწყეთ

ვერ მისდის კარგად საქმე მიუნხენის „ბაერნს" — დიდი შანსია, ცოტა ხანში ჩემპიონთა ლიგიდან უეფას თასზე გადაინაცვლოს. არადა, შემადგენლობა ჰყავს...

თუმცა ამ წერილის აზრი არც ოტმარ ჰიცფელდის კრიტიკაა და არც მინი-კრიზისიდან გამოსავლის ძიება. უბრალოდ გვინდა, ამ გუნდის ჩვენებურ გულშემატკივრებს გამოვუკეთოთ ხასიათი და გერმანული ბუნდესლიგის ყველა დროის ცხრილი წარმოგიდგინოთ: სამშობლოში „ბაერნს" კონკურენტი არ ჰყავს და უახლოეს ათწლეულებში არც ეყოლება. და ეს იმის მიუხედავად, რომ მიუნხენური კლუბი 1963 წელს ჩამოყალიბებულ ბუნდესლიგას ოდნავ მოგვიანებით შეუერთდა და მეორე ადგილზე მყოფ „ჰამბურგს" ორი გაცდენილი სეზონით ჩამორჩება.

იტალიური სერია A-ს ყველა დროის ცხრილის დარად, გასულ შაბათს რომ შემოგთავაზეთ, დღესაც ბუნდესლიგის საუკეთესო გუნდების მხოლოდ პირველ ოცეულს და მის მიღმა მყოფ იმ გუნდებს წარმოგიდგენთ, მიმდინარე გათამაშებაში რომ მონაწილეობენ. ოღონდ, იტალიურისგან განსხვავებით, გერმანულ კლუბებს ადგილები ქულათა დარიცხვის ძველებური მეთოდით (მოგება 2 ქულა, ფრე-1) მივუჩინეთ.

ბოლოს კი გეტყვით, რომ სულ ბუნდესლიგაში 48 კლუბს უთამაშია, ქვემორე ჩამონათვალში შეტანილი არაა მიმდინარე ჩემპიონატის პირველი 6 ტურის შედეგები, გუნდების მონაგარის პირველ გრაფაში მოცემული რიცხვი კი ბუნდესლიგური სეზონის რაოდენობას აღნიშნავს.

**გიგა ძოწაძიძე**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 37 | 1262 | 696 | 301 | 265 | 2706:1518 | 1693 |
| ჰამბურგი | 39 | 1322 | 545 | 361 | 416 | 2240:1888 | 1451 |
| ვერდერი | 38 | 1288 | 542 | 328 | 418 | 2125:1838 | 1412 |
| კიოლნი | 37 | 1254 | 539 | 319 | 396 | 2224:1813 | 1397 |
| კაიზერსლაუტერნი | 38 | 1288 | 517 | 323 | 448 | 2107:2012 | 1357 |
| შტუტგარტი | 37 | 1254 | 521 | 308 | 425 | 2172:1845 | 1350 |
| მიონხენგლადბახი | 35 | 1194 | 506 | 321 | 367 | 2213:1760 | 1333 |
| დორტმუნდი | 35 | 1186 | 492 | 304 | 390 | 2071:1807 | 1288 |
| აინტრახტი | 36 | 1220 | 470 | 305 | 445 | 2043:1892 | 1245 |
| შალკე | 34 | 1152 | 417 | 294 | 441 | 1677:1772 | 1128 |
| ლევერკუზენი | 23 | 786 | 312 | 239 | 235 | 1268:1071 | 863 |
| დუისბურგი | 26 | 880 | 283 | 242 | 355 | 1221:1402 | 808 |
| ბოხუმი | 27 | 922 | 284 | 240 | 398 | 1274:1501 | 808 |
| ჰერტა | 21 | 706 | 265 | 172 | 169 | 1052:1118 | 702 |
| ფორტუნა | 22 | 752 | 238 | 206 | 308 | 1121:1329 | 682 |
| ნიურნბერგი | 22 | 744 | 244 | 186 | 314 | 994:1200 | 674 |
| კარლსრუე | 22 | 744 | 222 | 215 | 307 | 1025:1301 | 659 |
| ბრაუნშვაიგი | 20 | 672 | 236 | 170 | 266 | 908:1026 | 642 |
| მიუნხენ 1860 | 18 | 604 | 218 | 153 | 233 | 946:953 | 589 |
| იურდინგენი | 14 | 476 | 138 | 129 | 209 | 644:844 | 405 |
| ჰანოვერი | 14 | 472 | 136 | 120 | 216 | 683:835 | 392 |
| არმინია | 11 | 374 | 107 | 85 | 182 | 471:651 | 299 |
| ჰანზა | 8 | 276 | 86 | 76 | 114 | 341:409 | 248 |
| ვოლფსბურგი | 5 | 170 | 63 | 47 | 60 | 260:255 | 173 |
| კოტბუსი | 2 | 68 | 21 | 11 | 36 | 74:112 | 53 |



ჟუვენტუდე — კორინთიანსი. ქილის დარტყმული გოლად რიკოშეტით იქცა

# ჩაეშვნენ და ჩაეშვნენ

## ბრაზილია

**30-13 ტური: სან პაულუ — ატლეტიკო მინეირო 1:2; კრუზეირო — ვასკუ და გამა 4:0; ინტერნასიონალი — ბაია 1:0; ფლუმინენსე — ატლეტიკო პარანენსე 0:1; ჟუვენტუდე — კორინთიანსი 0:1; პარანა — გუარანი 1:2; ვიტორია — სან კაეტანო 2:2; პონტე პრეტა — ფიგეირენსე 3:2; ფლამენგო — გრემიო 2:3; პალმეირასი — პაისანდუ 1:0; კურიტიბა — პორტუგეზა 2:0; გამა — სანტოსი 0:0**

**არავინ იცის**, რა ეშველება „ვასკუ და გამას", რომელმაც კვლავ წააგო და ამჯერად „კრუზეიროსთან" — 0:4. „ვასკუ და გამა" 21-ეა 26-გუნდიან ცხრილში მხოლოდ იმიტომ, რომ მაჩანჩალა „პარანამ" ასევე წააგო.

ბოლო ოთხ წელიწადში ბრაზილიის ორგზის ჩემპიონი და ლიბერტადორესის თასის მფლობელი „ვასკუ და გამა" იმას იმკის, რაც შარშან დათესა. საუკეთესო ფეხბურთელების, მათ შორის რომარიოს გაყიდვამ კლუბი შავ დღეში ჩააგდო.

„კრუზეირო", რომელსაც გაუბედურებული „პალმეირასიდან" გაქცეული ვანდერლეი ლუშემბურგო წვრთნის, პირველი ნახევრის შემდეგ უკვე 2:0-ს იგებდა მარსელო რამოსისა და ყოფილი ვასკუელის პაულუს მირანდას გოლებით. მერე შეცვლაზე შესულმა ყოფილმა რომაელმა ფაბიო ჟუნიორმა და ალეშანდრუმაც თითო გაიტანეს. ანგარიში მეტიც იქნებოდა, მაგრამ წაგებულთა მეკარე ფლავიომ თავი გადაღო.

ჩემპიონატს აღარ ლიდერობს უსახელო „ჟუვენტუდე", რომელსაც პსვ-ს ყოფილი მწვრთნელი რიკარდო გომეში უდგას სათავეში. თუმცა „ჟუვენტუდე" უკეთესი ბურთების წყალობით თლა უსწრებს „კორინთიანსს", რომელთანაც სწორედ ამ ტურში წააგო საშინაო მატჩი მცველ რენატოს ავტოგოლის წყალობით, მაგრამ ასევე ბურთების შეფარდებით ჩამორჩა მისებრ უსახელო „კურიტიბას".

„კორინთიანსმა", რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონი მწვრთნელი კარლოს ალბერტო პარეირა წვრთნის, ზედიზედ მოიგო სამი თამაში.

ამასობაში კვლავ წააგო „ფლუმინენსემ", რომელმაც თავიდან ბარე ერთ თვით დასაჯა თანაგუნდელ ანდრეს მცემელი რომარიო, მაგრამ მერე ერთი თამაშის გამოტოვება და ხელფასის 40 პროცენტის დაქვითვა აკმარა. ეს თამაში რომარიომ ტრიბუნაზე გაატარა, საიდანაც კარგი არაფერი დაუნახავს: „ფლუმ" კვლავ წააგო, ამჯერად 0:1 „ატლეტიკო პარანენსესთან". მწვრთნელ რენატო პორტულაპის კი მეორე ტაიმში გულშემატკივრები წაესივნ.

**ელბა დი ბადჟა ლიგა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კურიტიბა | 13 | 8 | 2 | 3 | 22:13 | 26 |
| ჟუვენტუდე | 13 | 8 | 2 | 3 | 15:7 | 26 |
| კორინთიანსი | 13 | 8 | 2 | 3 | 17:17 | 26 |
| ატლ. მინეირო | 13 | 7 | 3 | 3 | 23:13 | 24 |
| სან კაეტანო | 12 | 7 | 1 | 4 | 23:14 | 22 |
| ატლ. პარანენსე | 13 | 6 | 4 | 3 | 23:15 | 22 |
| სანტოსი | 13 | 6 | 4 | 3 | 21:16 | 22 |
| გუარანი | 12 | 6 | 4 | 2 | 15:10 | 22 |
| სან პაულუ | 13 | 6 | 2 | 5 | 22:17 | 20 |
| ინტერნასიონალი | 13 | 5 | 5 | 3 | 21:18 | 20 |
| გრემიო | 13 | 5 | 4 | 4 | 20:16 | 19 |
| კრუზეირო | 13 | 5 | 4 | 4 | 18:18 | 19 |
| ვიტორია | 14 | 5 | 3 | 6 | 23:23 | 18 |
| პორტუგეზა | 13 | 5 | 3 | 5 | 13:15 | 18 |
| პონტე პრეტა | 12 | 5 | 2 | 5 | 14:12 | 17 |
| ფლამენგო | 12 | 4 | 3 | 5 | 21:19 | 15 |
| გამა | 13 | 4 | 3 | 6 | 11:15 | 15 |
| ბაია | 13 | 4 | 2 | 7 | 14:19 | 14 |
| ფიგეირენსე | 12 | 4 | 2 | 6 | 15:21 | 14 |
| ფლუმინენსე | 12 | 4 | 2 | 6 | 18:26 | 14 |
| ვასკუ და გამა | 13 | 3 | 2 | 8 | 14:21 | 11 |
| ბოტაფოგო | 12 | 2 | 5 | 5 | 11:18 | 11 |
| პარანა | 12 | 3 | 1 | 8 | 20:22 | 10 |
| პაისანდუ | 11 | 3 | 1 | 7 | 14:23 | 10 |
| გოიასი | 12 | 2 | 4 | 6 | 16:24 | 10 |
| პალმეირასი | 13 | 2 | 4 | 7 | 14:26 | 10 |

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისური** „ბოლტონის" ესპანელ მცველ ივან კამპოს დღეს „მიდლსბროსთან" თამაშის გამოტოვება აღარ მოუწევს. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელს წინა ტურში „არსენალთან" მატჩისას მსაჯმა დევიდ ჰაფმა ორი ყვითელი ბარათი უჩვენა და მოედანი დაატოვებინა. თუმცა მატჩის შემდეგ სადისციპლინო კომისიამ ვიდეოჩანაწერი გაარჩია და კამპოს მეორე გაფრთხილება მოუხსნა.

**რუმინეთის ნაკრების ფეხბურთელი ვიორელ მოლდოვანი ნაკრებში დაბრუნებას აპირებს. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ მან ეროვნული გუნდის დატოვება განიზრახა. „ბოსნიასთან მატჩამდე უხასიათოდ ვიყავი და ნაკრების დატოვება ამან მაფიქრებინა — განაცხადა ფეხბურთელმა — ახლა თავს კარგად ვგრძნობ და თუ იორდანესკუ მომიხმობს, ბედნიერი ვიქნები."**

**ინგლისური** „ფულემი" „სტოკ სიტის" ბელორუსი მცველით, 30 წლის სერგეი შტანიუკით დაინტერესდა. ლონდონური კლუბი მზადაა, მასში ორი მილიონი გირვანქა გადაიხადოს. „შტანიუკი ძლიერი მცველია და თავდასხმაშიც კარგად ირჯება" — განაცხადა „ფულემის" თავკაცმა ჟან ტიგანამ.

**ბულგარული ცსკა-ს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, გუნდის ყოფილ ფეხბურთელ ხრისტო სტოიჩკოვს ძეგლი დაუდგეს. „ყველა დიდი გუნდი აფასებს თავის გამორჩეულ ფეხბურთელს — განაცხადა ცსკა-ს თავკაცმა მლადენოვმა — მაგალითად, ლისაბონში პორტუგალიელებმა ეუსებიოს ძეგლი აღმართეს." უახლოეს ხანში ცსკა სტოიჩკოვს დაეკითხება და თუ დასტური მიიღო, საქმესაც შეუდგება.**

**ისრაელის** ეროვნული გუნდი კვიპროსთან საშინაო მატჩს ლონდონში „ქუინზ პარკ რეინჯერსის" სტადიონ „ლოფტუს როუდზე" გამართავს. თავიდან ებრაელებმა სარბიელი ლონდონურ „ტოტენჰემს" სთხოვეს, რომლისგანაც უარი მიიღეს. ცნობისთვის, ებრაელებს დახმარებას რუმინეთიც სთავაზობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თამაშამდელი თამაში

## მარადონა ამას შესვენებისას აკეთებდა



**ამას წინათ** ერთ-ერთი ესპანური ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში რონალდომ სხვათა შორის ისიც თქვა, ჩემი საფეხბურთო წარმატების უმთავრესი საიდუმლო მატჩამდელი სექსი არისო. ცხადია, მისი „ამ საიდუმლოს" ყველაზე პიკანტური დეტალებით დაინტერესებულან. რონალდოსაც თამაშამდელი თამაშის წესების ახსნა მოუხდა...

„ამ დროს პასიური როლის შესრულება უნდა არჩიო, რადგანაც ამგვარად სექსაობა გაღუნებს და საოცარი ბედნიერებით გავსებს. ხოლო როცა აქტიურობ, მაშინ ბევრ ენერგიას ხარჯავ, მოგვიანებით მოედანზე გასულს კი ფეხები გაკვეთება."

ანუ — მატჩამდელი სექსისას დაზოგილი ენერგია მატჩისას მძლავრ საგოლე ილაჯად გექცევა და პირუკუ — თუკი ენერგიას მატჩამდე დაღვრი, მატჩისას კარგს არაფერს უნდა ელოდო.

ორგზის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელისა და მსოფლიოს ჩემპიონის ამგვარ გულახდილობას ევროპაში სექსმცოდნეთა და ფეხბურთელთა დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

ამ ამბისადმი მიძღვნილ მიმოხილვას გერმანული „ბილდი" „პასიური სექსის" რაობის განმარტებით იწყებს: ეს იმგვარ რამეს ნიშნავს, რომ ხვალი უზრუნველად გულაღმა გაშოტილა და მის ზემოთ რაგინდარიგორ მოჩალიჩე მდედრის მისჩურება, რომელიც ასრულებს კიდეც კარგად დაწყებული საქმის შედეგიანად გასრულებას.

როგორც რონალდო ამბობს, ასეთი საამო გარჯის შემდეგ ფეხბურთელს ველაფერი გაჩერებს. რაც ყველაზე მთავარია, მას საქმეში ღრმად ჩახედული ხალხიც ეთანხმება.

ფრანკფურტელი სექსმცოდნის, იქაური უნივერსიტეტის პროფესორ ფოლკმარ ზიგუშის აზრით, რონალდო ცამდე მართალია: „წარმატებით გათავებული სექსუალური შეხვედრის შემდეგ უძლავრესი სულიერი ენერგია უნდა გამოთავისუფლდეს, რაც მოგვიანებით ასეთსავე ბობოქარ ფიზიკურ ენერგიად გარდაიქმნება."

ამასვე ადასტურებს ფერენა ბრაიტენბახიც, გერმანიის უპირველესი „ტელეგინეკოლოგი": „პასიური სექსი განმუხტველი და მომდუნებელია. გაუნძრევლად მწოლი კაცი ბოლომდე კმაყოფილდება და ითენთება. ჩანს, რონალდოზე ამგვარი მოთენთვა და დაკმაყოფილება შემაგულიანებლად და შემგოლიანებლადაც მოქმედებს. ის არაფერს ხარჯავს, სანაცვლოდ თავადაც სიამოვნებს და მეუღლესაც ამებს. სექსის შემდეგ „ბედნიერების ჰორმონები" — ენდორფინი და სეროტონინი გამოიყოფა, რის შედეგადაც სხეულს დაძაბულობა ეხსნება და მშვიდდება."

და რას ფიქრობენ ყოველივე ამაზე თავად ფეხბურთელები?

დიტერ შაცშნაიდერი, გერმანიის ეროვნული გუნდისა და ბუნდესლიგის ოდინდელი მეგოლე, ასე ფიქრობს: „თუკი თამაშამდე ვსექსაობდი, ეს მხოლოდ სამი საათით ადრე, მერე აღარ. პასიურ-სწრაფი სექსი განმუხტვის თვალსაზრისით შეუდარებელია. ნამდვილად ვიცი, რომ მარადონა ამას ტაიმებს შორის აკეთებდა. მარადონა კი ყველა დროის საუკეთესო მოთამაშე იყო. განა ეს არაფერს ნიშნავს?!"

ლოთარ მათეუსის აზრით, თამაშამდე ვინ რას აკეთებს, ეგ არავის საქმე არაა, თუმცა იგიც აღიარებს, ზოგიერთი მოთამაშე მართლაც მიმართავს ამ საშუალებას, ოღონდ მაინც რომ მოეშვასო.

რონალდოს პოზიციას ყველაზე თამამად მაინც რუნე რიდლევეჩი, „ჰანზას" ნახევარმცველი ექომაგება: „ეგ ბიჭი ყოველთვის ჩემი კერპი იყო. თუკი მატჩამდე რამეს გაახერხებ, მაშინ მატჩის დროსაც კარგი რამეები უნდა გამოგივიდეს."

საერთოდ — საფეხბურთო სამყაროში ამ საკითხთან დაკავშირებით ჭეშმარიტი პლურალიზმი სუფევს და იმავ „ბილდის" პასით ჩვენ კიდევ რამდენსამე საყურადღებო მოსაზრებას მოგაწვდით.

ასე მაგალითად, ბერტი ფოგთსს არ აღარდებს, დუნდებიან თუ არა მისი შეგირდები მატჩამდე, „ბიჭებს შეუძლიათ, ისე მოიქცნენ, როგორც მოეპრიანებათ, ოღონდ არა შესვენებისას — ცხადია."

უსექსოდ ცხოვრება ვერ წარმოუდგენია დავორ შუკერს, ვინც ამჟამად „მიუნხენ 1860"-ის ღირსებას იცავს. „ჩემი ცხოვრების აზრს ფეხბურთთან ერთად ქალები, ლამაზი ქალები შეადგენენ — ამბობს ის — თუმცა სექსს თამაშამდე ერთი დღით ადრე მაინც ვერიდები."

კრისტიან ვიერი თავისი და მთელი „სკუადრას" სახელით ლაპარაკობს: „სექსი ჩვენთვის გამორიცხული ამბავია — ათ საათზე ყველა საწოლში უნდა ვიყოთ. ვაგლახ — უქალებოდ."

ფრანკფურტის „აინტრახტის" ნორვეგიელი იან-ააგერ ფიორტოფტი საკუთარი მატჩამდელი „უსექსობის" განსამარტად ძალზედ ორიგინალურ საბაბს მოიხმობს: „აბა, როგორ — მე ხომ ოთახში მხოლოდ ბაშირუ ზალუ მეგულება!"

სექსამბებში ძალზედ გათვითცნობიერებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს ერნან დარიო გომესი, ვინაც წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ეკვადორელთა თავკაცი გახლდათ: „თუკი ამას დინჯად და გულდასმით აკეთებ, მაშინ ამის ყოველდღე კეთებაც შეგიძლია, მაგრამ თავი თუ გაიგიჟე, სექსუალური სუპერმენობა მოინდომე და საწოლიდან აღარ ადექი, ფეხზე ვეღარ გაჩერდები და მოედანზე არაფრად ივარგებ."

თითქოს მისი ამ სიტყვების საპასუხოდ 23 წლის ქერა მესტრაპტიზე ლიზა კოლინზი აი, ასეთ რამეს ამბობს რონალდინიოსთან გატარებული წლევანდელი ზაფხულის ერთი ღამის მოსაგონრად: „ეს ნამდვილი სიგიჟე იყო. ჩვენ ის საქმე რვაჯერ გავაკეთეთ. არა, ეგ ბიჭი ნამდვილი სექსმანქანაა."

ამ ჯერაც ჭაბუკი, თუმც უკვე გაუმაძღარი მდედრის ფონზე დევიდ ბექჰემის კაპასი მეუღლე ვიქტორია დასტურ უბიწოების სიმბოლოდ აღიქმება, რაკილა ხანგრძლივი უსექსობა მისთვის არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს: „სამი თვე სექსის გარეშე — მერე რა მოხდა! როცა დევიდი და მე ერთმანეთს დიდი დროის განმავლობაში ვერ ვხედავთ, სექსზე ერთხელაც არ დავფიქრდები ხოლმე."

რაკილა ბოლოსკენ სიტყვა ქალებს დაეთმოთ, ამ შემეცნებით-საონავრო სტატიის დასასრულს „ბილდის" მიერვე ჩატარებული ერთი სახალისო გამოკითხვის შედეგებს წარმოგიდგენთ. რესპონდენტებს უნდა ევარაუდათ, თუ „რატომ ურჩევნიათ ქალებს ფეხბურთი სექსს?"

გაზეთმა ასეთი პასუხები მიიღო:

იმიტომ, რომ ის 90 წუთი გრძელდება; იმიტომ, რომ ხარიხა 7,32 მეტრია; იმიტომ, რომ ამცილებელი შეიძლება შეცვალო; იმიტომ, რომ შესვენება მხოლოდ 15-წუთიანია; იმიტომ, რომ შეგიძლია აბები არ გადაყლაპო; იმიტომ, რომ ყოველ შეცდომაზე უსტვენენ; იმიტომ, რომ ყოველთვის გაქვს იმედი, რომ ეს ცოტა ხანს კიდევ გაგრძელდება და ასე შემდეგ — გაუთავებლად.

**ლევან ძილაურაძე**



რონალდოს კარგი თამაში მისი ცოლის დამსახურება ყოფილა

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა

— ვისენტე მასწ, ვისენტე მასწ, მე რატომ არ მაყენებ შემადგენლობაში? — იკითხა თავხოტორა, შავგრემანმა, ღონიერმა ახალგაზრდამ წინ კურდღელივით გამოშვერილი ორი კბილით.

— შენ? — ლიპიანმა, ულვაშიანმა კაცმა ჯერ ახალგაზრდას შეხედა, შემდეგ რაღაც დიდი დავთარი აიღო და კარგა ხანს ფურცლა — ა, შენ იმიტომ, რომ დღეს თამაში რვა საათზე გვაქვს.

— მერე?

— მერე ის, რომ რვა საათზე შენ ტელევიზიაში უნდა იყო, აკვალანგების რეკლამაში გიღებენ. ჰო, რას ვამბობდი, ბიჭებო? ერთი სიტყვით, განსაკუთრებული ყურადღება რივალდოს უნდა...

— ვისენტე მასწ, ვისენტე მასწ, მეორე ტაიმს რომ მოვუსწრო?

— მეორეს? — ლიპიანმა და ულვაშიანმა ისევ გაწყვიტა სიტყვა, ისევ ის დავთარი მოიმარჯვა და ახლა კიდევ უფრო დიდხანს ფურცლა ხან წაღმა, ხან უკუღმა — არა, სამწუხაროდ, არ გამოვა. მეორე ტაიმი ცხრაზე იწყება, შენ კი მაგ დროს გაეროს ოფისში გაქვს შეხვედრა ცხოველთა უფლებების დამცველებთან. კენგურუებზე უნდა ილაპარაკო. გახსოვს, რა უნდა თქვა?

პასუხის ნაცვლად ახალგაზრდამ ცხვირში თითი შეიყო.

— გასაგებია... ერთი სიტყვით, რივალდოს დიაპაზონი უნდა გავითვალისწინოთ. თუ ის მარცხნივ წამოვა...

— ვისენტე მასწ, ვისენტე მასწ, ხვალ შეიძლება დილის ვარჯიშზე მოვიდე?

— ხვალ? — ლიპიანმა და ულვაშიანმა კვლავ დავთარი აიღო, შემოატრიალა და პირველსავე გვერდს თითით სტრიქონ-სტრიქონ ჩაჰყვა — ხვალ... ხვალ... არა, ვარჯიში თერთმეტის ნახევარზეა, შენ კი მაგ დროს ესპანეთის საპატიმროებში ბრაზილიელ დამნაშავეებს წესრიგსა და პროგრესზე უნდა ელაპარაკო. ხომ არ გეშინია?

პასუხის ნაცვლად ახალგაზრდამ ახლა მეორე ნესტოში მეორე ხელის თითიც შეიყო და ორივე ერთად, სინქრონულად დაატრიალა.

— ასე! ჰოდა, — განაგრძო ლიპიანმა და ულვაშიანმა — რივალდოზე ვამბობდი. მარცხნივ თუ წამოვა, განსაკუთრებით ამ კომბინაციას უნდა ვერიდოთ, აი, ნახე...

— ვისენტე მასწ, ვისენტე მასწ... და საღამოს ვარჯიშზე?

ვისენტე მასწ-მა ამოიოხრა, ისევ აიღო დავთარი, ისევ ატრიალა წინ და უკან, იქექა-იქექა და თქვა:

— ხვალ საღამოს შენი წინდების გამოფენა-გაყიდვაა პარიზში. სავარაუდოდ, ათი მილიონი დოლარი შემოგვივა, ასე რომ, შუადღისას აეროპორტში უნდა გაქანდე და გადაფრინდე. დაწყნარდი, ახლა, მაცადე ფეხბურთელებთან მუშაობა.

ლიპიანმა და ულვაშიანმა ამოისუნთქა, პირი დააღო და...

— ვისენტე მასწ, ვისენტე მასწ, ზეგ დილით?

— ზეგ დილით, შვილო, — დავთრის დაუხმარებლად მიუგო ვისენტე მასწ-მა, — ჩვენ ავტობუსში ვსხდებით და სევილიაში მივდივართ, შენ კი, ამოდენა გზიდან დაბრუნებული დაშავებული იქნები და ექიმთან უნდა მიხვიდე, ეჩვენო. კეთილი... რივალდო, ბიჭებო...

— ვისენტე მასწ, ვისენტე მასწ, თამაში რომ მინდა?

— აი, შენ სათამაშო! — იყვირა დარბაზიდან დაბალმა, მასავით ხოტორა, კეთილი სახის ბიჭმა, რომელსაც ეტყობოდა, ყოველ წამს ყველას დასახმარებლად იყო მზად და მეგობარს რუბიკის კუბიკი გაუწოდა — ამის აწყობას თუ ისწავლი, რეკლამას გაგაკეთებინებენ და გამდიდრდები. ჩვენ ვიკითხოთ, კვირაში ორჯერ სირბილი რომ გვიწევს.

ახალგაზრდამ კეთილ ბიჭს კუბიკი გამოართვა და ცოტა ხნით გაჩუმდა.

**ბაკურ ძიდია**

*რეკლამა: თუ მოხდა სასწაული და საქართველოს ნაკრები დამარცხდა, დალიეთ ცივი „კოკა კოლა", გაიგრილეთ გული!*



რობერტო კარლოსი: მე სიჭას მაცლიან, ის კიდევ...

## იტალია

პაპუნა კიღია




ფილიპო ინძაგი დღეს ძმას შეხვდება, ალესანდრო ნესტა კი ძველ მეგობრებს

# აქეთ ინძაგი, იქით ინძაგი
## ნესტა ოლიმპიკოზე

| IV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| იუვენტუსი | - | პარმა |
| ლაციო | - | მილანი |
| **ხვალ** | | |
| ბოლონია | - | პიაჩენცა |
| ბრეშა | - | რომა |
| კომო | - | რეჯინა |
| ინტერი | - | კიევო |
| მოდენა | - | ტორინო |
| პერუჯა | - | ემპოლი |
| უდინეზე | - | ატალანტა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| იუვენტუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| პიაჩენცა | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ინტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| პარმა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ბოლონია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| კიევო | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ბრეშა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ლაციო | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ემპოლი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| პერუჯა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| მოდენა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| უდინეზე | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ატალანტა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 |
| რომა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |
| ტორინო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| რეჯინა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| კომო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

**ალესანდრო ნესტა**, შეიძლება ითქვას, რომის „ლაციოში“ დაიბადა, 18 წელიწადი ფეხითა და თავით ამ გუნდს ემსახურა და... დღეს საღამოს მის წინააღმდეგ ითამაშებს. მოგეხსენებათ, ნესტა „მილანში“ გადავიდა.

ნესტა ის კაცია, რომელიც ჩემპიონობის სეზონში ანუ 2000 წელს „ლაციოს“ კაპიტნობდა და ქომაგთა კერპი იყო — ყველაზე უხვად სწორედ მისი მაისურები იყიდებოდა, მაგრამ 30,2 მილიონმა ევრომ თავისი ქნა და ამ, ფინანსური გაჭირვების სეზონში „ლაციოს“ ხელმძღვანელებს მისი სარფით გაყიდვა მოუხდათ.

დღეს ვხედავთ, რომ იტალიის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი ახალ გუნდს იოლად შეეწყო და მასთან ერთად ამ სეზონისთვის დიდ იმედებსაც იძლევა. გავიხსენოთ, როგორ დაიწყო „მილანმა“: ჯერ სერია A-ში „მოდენას“ მოუგო 3:0, შემდეგ კი იმავე ანგარიშით აჯობა „პერუჯას“. იმავდროულად, შავ-წითლებმა ორი გამარჯვება მოიპოვეს ჩემპიონთა ლიგაშიც — 2:1 „ლანსთან“ და 4:0 „დეპორტივოსთან“.

როგორ დახვდება „სტადიო ოლიმპიკო“ თავის გუშინდელ გმირს? ალესანდრო ნესტამ „გაძეტა დელო სპორტს“ განუცხადა:

„18 წლის შემდეგ „მილანში“ ვარ! ნეტავ ასეთი დღე არ დამდგომოდა.“

ახლა გადავხედოთ „ლაციოს“ შედეგებს: პირველ ტურში „კიევოსთან“ 2:3 წაგების შემდეგ, გუნდის ახალგაზრდა მწვრთნელმა, რობერტო მანჩინიმ ძირითად შემადგენლობაში ძველ გვარდიას, სინიშა მიხაილოვიჩს, სიმონე ინძაგისა და დიეგო სიმეონეს უხმო, რის შედეგადაც „ტორინოსთან“ 1:0 გაიმარჯვა და მომავლის იმედი ჩაესახა.

საინტერესოა ისიც, რომ ამ შეხვედრაში ერთმანეთს ძმები ინძაგები დაუპირისპირდებიან. სიმონე, რომელიც, როგორც მოგახსენეთ, „ლაციოს“ ფორვარდია, „მილანის“ დიდი ვარსკვლავის, ფილიპოს წინაშე დადგება. ხოლო ფილიპოს, მოგეხსენებათ, ბოლო დროს გააქვს და გააქვს გოლები — რაც სეზონი გაჩაღდა, ექვს მატჩში ათჯერ გაიტანა.

ამასთან, უნდა დავძინოთ, რომ „მილანს“ სამშაბათს, მიუნხენში, „ბაიერნთან“ ელის ლიგის მატჩი და მწვრთნელი კარლო ანჩელოტი დღეისთვის რუი კოშტასა და ანდრეა პირლოს დაასვენებს.

ამასობაში, ჩემპიონი „იუვენტუსი“ „პარმას“ უმასპინძლებს. მოგეხსენებათ, „ბებერი ქალბატონი“ ჩინებულ ფორმაში და დიდ გულზეა — ამ კვირაში, ჩემპიონთა ლიგაში, კიევის „დინამოს“ შთამბეჭდავად მოუგო 5:0, თუმცა, „პარმამაც“ რიხიანად დაიწყო სეზონი: რუმინელი ადრიან მუტუ ბრაზილიელ ადრიანოსთან ჩინებულ დუეტს ქმნის.

საინტერესო იქნება „ინტერისა“ და „კიევოს“ მატჩიც. გასულ სეზონში „კიევომ“ „ინტერს“ „სან სიროზე“ მოუგო, მაგრამ შარშან სხვა იყო, წლეულს კი ვერონელებს სხვა გარემოება აქვთ. მაგალითად, წინა ტურში „კიევომ“ მოსალოდნელზე სუსტად ითამაშა.

„ინტერს“ კი ამ სეზონში ორი თამაშიდან ექვსი ქულა აქვს და „კიევოს“ წინააღმდეგ თამაშს, ალბათ, ოდნავ გადასხვაფერებული შემადგენლობით დაიწყებს — ექტორ რაულ კუპერი ან კრისტიან ვიერის დაასვენებს ან ერნან კრესპოს.

„რომა“ „ბრეშას“ ეწვევა და შეეცდება რობერტო ბაჯომ გოლი არ გაუტანოს. რომაელებს დისკვალიფიცირებული ჰყავთ კრისტიან პანუჩი, რის გამოც, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში ჯონათან ძებინას ვიხილავთ.

## ინგლისი

დავით თავართქილაძე

# იორკშირული დილემა
## ტერის ტორი თუ თოფი

| VIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ლიდსი | — | არსენალი |
| ბოლტონი | — | საუთჰემპტონი |
| ჩარლტონი | — | მანჩესტერი |
| ჩელსი | — | ვესტ ჰემი |
| ევერტონი | — | ფულემი |
| მანჩესტერ სიტი | — | ლივერპული |
| სანდერლენდი | — | ასტონ ვილა |
| ტოტენჰემი | — | მიდლსბრო |
| ბირმინგემი | — | ნიუკასლი |
| **ზეგ** | | |
| ვესტ ბრომვიჩი | — | ბლეკბერნი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 7 | 5 | 2 | 0 | 17:7 | 17 |
| ლივერპული | 7 | 4 | 3 | 0 | 15:8 | 15 |
| ჩელსი | 7 | 3 | 4 | 0 | 13:8 | 13 |
| ტოტენჰემი | 7 | 4 | 1 | 2 | 11:9 | 13 |
| ლიდსი | 7 | 4 | 0 | 3 | 10:5 | 12 |
| ფულემი | 6 | 3 | 2 | 1 | 12:6 | 11 |
| მიდლსბრო | 7 | 3 | 2 | 2 | 8:5 | 11 |
| მანჩესტერი | 7 | 3 | 2 | 2 | 6:5 | 11 |
| ბლეკბერნი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:8 | 9 |
| ასტონ ვილა | 7 | 3 | 0 | 4 | 6:8 | 9 |
| ვესტ ბრომვიჩი | 7 | 3 | 0 | 4 | 6:11 | 9 |
| ბირმინგემი | 7 | 2 | 2 | 3 | 8:8 | 8 |
| ევერტონი | 7 | 2 | 2 | 3 | 9:11 | 8 |
| სიტი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:9 | 8 |
| ნიუკასლი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:8 | 7 |
| ჩარლტონი | 7 | 2 | 1 | 4 | 6:10 | 7 |
| ბოლტონი | 6 | 2 | 0 | 4 | 7:11 | 6 |
| საუთჰემპტონი | 7 | 1 | 3 | 3 | 3:7 | 6 |
| სანდერლენდი | 7 | 1 | 2 | 4 | 2:10 | 5 |
| ვესტ ჰემი | 6 | 0 | 2 | 4 | 4:12 | 2 |



ბობი რობსონს, თუ რამე არ იღონა, მალე ყურს აუწევენ

**თქმა არ უნდა**, ტურის მთავარი მატჩი იორკშირშია, ლიდსში, „ელანდ როუდზე“. ტერი ვენეიბლზის გუნდი ლიდერს, ჩემპიონს, ასოციაციის თასის მფლობელსა და რა ხანია დაუმარცხებელ „არსენალს“ დაუხვდება.

არსენ ვენგერის ბიჭებს პრემიერლიგის ბოლო 28 შეხვედრაში არ წაუგიათ, ხოლო ინგლისის სათასო მატჩებში შარშანდელი დეკემბრის მერე დაუმარცხებელნი არიან.

ოღონდ ეგაა, ევროტურნირზე „არსენალს“ გასვლაზე თამაში არც თუ უადვილდება. ამას წინათ „მეთოფეებმა“ ეინდჰოვენში გადათელეს პსვ და ეს პირველი სტუმრად მოგებული მატჩი იყო მეცხრე ცდაზე.

ჰოლანდიური ტრიუმფის შემდეგ ვენგერმა მოკლედ მოჭრა: „მნიშვნელოვანი გახლავთ ის, რომ ჩემ გუნდს უმაღლესი კლასი, სული და ჯიგარი აქვს.“

ტერი ვენეიბლზის გუნდზე იმის თქმა შეიძლება, რომ „ლიდსს“ არ უღალატია ვენეიბლზის წინამორბედ დევიდ ოლირის მიერ დანერგილ სტილზე — მაღალი ტემპი და განსაკუთრებული შემართება.

მაგრამ „ლიდსი“ ამავე დროს არასტაბილურია, ამ პრემიერლიგაში „მანჩესტერ იუნაიტედს“ მოუგო, მაგრამ „სანდერლენდთან“ და „ბლექბერნთან“ დამარცხდა.

იორკშირელებს დღეს მაიკლ ბრიჯისი ან ეყოლებათ ან არა — ის ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კი დაუბრუნდა გუნდს, მაგრამ ახლა მეორე მუხლი დაუზიანდა. საეჭვოა შემტევი ალან სმიტის მოედანზე გასვლა.

„არსენალი“ კუნთდაჭიმულ მარტინ კიოუნს მოისაკლისებს, მას ალბათ ფრანგ პასკალ სიგანი შეცვლის, რომელიც სოლ კემპბელთან ერთად გაამაგრებს დაცვის ცენტრს.

მეორეადგილოსან „ლივერპულს“ კევინ კიგანი უმასპინძლებს, თუმცა „სიტის“ რიგი პრობლემები აქვს — შონ გოტერის თამაში სათუოა, ხოლო „სიტის“ კაპიტანი და პლეიმეიკერი ალი ბერნაბია ერთი მატჩით არის დისკვალიფიცირებული. სასჯელი მოსახდელი აქვთ პაულო ვანჩოპეს და ჯონ მაკენსაც. ჰოდა, კიგანი უბრალოდ იძულებულია, ალჟირელი პლეიმეიკერი კარიმ კერკარი სადებიუტოდ ათამაშოს და ისიც „ლივერპულთან“.

„ჩელსის“ არასდროს წაუგია „ვესტ ჰემთან“ და ალბათ არც ახლა შერცხვება, თუმც ვინ იცის — წინა ტურში ჩელსელებმა ერთობ უნიათოდ ითამაშეს „ფულემთან“ და ოდენ ნულოვან ფრეს გამორჩნენ. არისტოკრატთა შუახაზელ ფრენკ ლამპარდს კი კარგი დღე ნაღდად არ უნდა დაადგეს — ის „ჩელსიში“ სწორედ „ვესტ ჰემიდან“ გადავიდა და სამი დღის წინ თქვა, „ჩელსიში“ გაცილებით ბედნიერი ვარ, ვიდრე ყოფილ კლუბშიო.

რასა იქმს „ტოტენჰემი“? საამსეზონოდ თამაშგაუმჯობესებულ გლენ ჰოდლის გუნდს ვინძლო მხცოვანი ურუგვაელი შუახაზელი გუსტავო პოიეტი დაუბრუნდეს, ხოლო ბოროელ მეტოქეს გარეთ საუთგეიტი გამოუჯანმრთელდა.

სიმპათიური „ფულემი“ მერსისაიდელებს ესტუმრება. ჟან ტიგანას გუნდის გამწევი ძალა ძლიერი დაცვაა და ვინძლო „ევერტონმაც“ თავპირი წაიმტვრიოს „ფულემის“ ჯებირებზე.

ძალიან გამოუცნობი წყვილია „ჩარლტონი“ — „მანჩესტერი“. მასპინძლების გოლკიპერი დინ კაილი ჩინებულ ფორმაშია და იქნებ ამ ფაქტორმაც გაურთულოს საქმე სტუმრებს. ალექს ფერგიუსონის გუნდს კვლავაც ვერ შეეშველებიან როი კინი, პოლ სქოულზი და უესლი ბრაუნი.

ბობი რობსონისთვის ყურის აწევა ჯერ არ უკადრებიათ, მაგრამ თუ „ნიუკასლმა“ ასე გააგრძელა, ამ ლვაწლმოსილ კაცს არავინ დაინდობს. „კაჭკაჭებს“ ყველანი ჯანზე ჰყავთ, ბირმინგემელებს კი საზარდულმტკივანი მაიკლ ჯონსონი არ ეყოლებათ.

„სანდერლენდი“ და „საუთჰემპტონი“ ტყუილუბრალოდ როდი არიან ცხრილში მეზობლად — მათ ყველაზე ნაკლები გოლი აქვთ გატანილი, შესაბამისად 2 და 3. „საუთჰემპტონს“ საქმეს ის უადვილებს, რომ „ბოლტონს“ ერთბაშად ძირითადის ოთხი ფეხბურთელი ჰყავს ტრავმირებული. „სანდერლენდის“ მეტოქე ვილელებს კი საქიმო არაფერი სჭირთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გერმანია

ვაკო ხუციშვილი

## ახალი ფორმით და ძველი შინაარსით

### ბალაკი და ზე რობერტო ნარსულის წინააღმდეგ

| VIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| კოტბუსი | — | ვოლფსბურგი |
| მიუნხენ 1860 | — | ჰერტა |
| ჰამბურგი | — | შტუტგარტი |
| არმინია | — | შალკე |
| ჰანზა | — | ჰანოვერი |
| ლევერკუზენი | — | ბაიერნი |
| დორტმუნდი | — | გლადბახი |
| **დღეს** | | |
| ნიურნბერგი | — | ლაუტერნი |
| ბოხუმი | — | ვერდერი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 6 | 5 | 1 | 0 | 17:5 | 16 |
| ჰანზა | 6 | 4 | 0 | 2 | 10:4 | 12 |
| შალკე | 6 | 3 | 3 | 0 | 8:4 | 12 |
| ვერდერი | 6 | 4 | 0 | 2 | 10:10 | 12 |
| ბოხუმი | 6 | 3 | 2 | 1 | 14:6 | 11 |
| დორტმუნდი | 6 | 2 | 4 | 0 | 8:5 | 10 |
| ჰერტა | 6 | 2 | 3 | 1 | 7:5 | 9 |
| გლადბახი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:5 | 8 |
| მიუნხენი | 6 | 2 | 2 | 2 | 9:8 | 8 |
| შტუტგარტი | 6 | 1 | 4 | 1 | 8:7 | 7 |
| ვოლფსბურგი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:7 | 7 |
| არმინია | 6 | 2 | 1 | 3 | 7:11 | 7 |
| ნიურნბერგი | 6 | 2 | 0 | 4 | 8:12 | 6 |
| ჰამბურგი | 6 | 2 | 0 | 4 | 6:10 | 6 |
| ლევერკუზენი | 6 | 1 | 2 | 3 | 10:13 | 5 |
| ჰანოვერი | 6 | 1 | 1 | 4 | 9:14 | 4 |
| კოტბუსი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:15 | 4 |
| ლაუტერნი | 6 | 0 | 3 | 3 | 3:10 | 3 |

**ლევერკუზენში** დღეს დიდი რია-რია იქნება. „ბაიერი" — „ბაიერნი". მიხაელ ბალაკი და ზე რობერტო ყოფილ გუნდს ახალი მეგობრებით დაუპირისპირდებიან.

„როცა „ბაიერნის" ფეხბურთელი ხარ, ყოველ მატჩში მოსაგებად უნდა იბრძოლო, თუნდაც ძველი თანაგუნდელების წინააღმდეგ" — თქვა მიხაელ ბალაკმა. ფავორიტი „ბაიერნია", მაგრამ ჩვენ გამარჯვება გვწყურიაო, თავის მხრივ განაცხადა კლაუს ტოპმიოლერმა, რომლის გუნდიც ძალიან ბევრ გოლს უშვებს.

„ლევერკუზენის" დაცვას დღეს განსაკუთრებით გაუჭირდება ისეთების მოთოკვა, როგორებიც ჯოვანი ელბერი და კლაუდიო პიზარო არიან. მაგრამ ცუდი სტარტის მიუხედავად, კლაუს ტოპმიოლერის ბიჭებმა „მანჩესტერთან" აჩვენეს, რომ არც მთლად დაჩაჩანაკებულან. ერთი ეგაა, მთავარი კაცის, ბალაკის, წასვლის შემდეგ მოირღვნენ, მაგრამ ტოპმიოლერი იოლად არ ნებდება.

„კოტბუსი" „ვოლფსბურგს" უმასპინძლებს. წინა ტურში „მგლებმა" მოულოდნელად მარცხი იწვნიეს „ნიურნბერგისგან", როცა ხუთ წუთში ორი გოლი გაუშვეს. მასპინძელ „ენერგეტიკოსებს" კი მწვრთნელი დაუბრუნდებათ. ედუარდ გაიერი დისკვალიფიცირებული იყო და ტრიბუნაზე იჯდა, ახლა კი თავის ჩვეულ ადგილს მიაკითხავს. დამხვდურთ ბრაზილიელი ფორვარდი ფრანკლინი დააკლდებათ, ხოლო სტუმრებს მცველი ფრანკ გრეინერი და ნახევარმცველი პატრიკ ვაიზერი.

კვლავ ვერ ითამაშებს „მიუნხენ 1860"-ის მთავარი „ლომი", მეგოლე მარტინ მაქსი, რომელსაც ჯერ კიდევ მკურნალობა სჭირდება. შეტევაში მის მეწყვილე მარკუს შორტსაც ინფექცია შეჰყრია და ისიც ლაზარეთში იმყოფება.

დედაქალაქურ „ჰერტას" ისლანდიელი მცველი ეიოლფურ სვერისონი და ბრაზილიელი მეგოლე ალექს ალვეში ვერ დაეხმარებიან.

ჰამბურგში „შტუტგარტს" ელიან. შტუტგარტელებმა წინა ტურში პირველი გამარჯვება იზეიმეს კევინ კურანის ჰეთ თრიქის წყალობით და დღესაც კურანის იმედზე არიან.

მასპინძლებს ისევ პლეიმეიკერის, რუდოლფო კარდოზოს გარეშე მოუწევთ მოედანზე გასვლა, რომელსაც მუხლი უკვე კარგა ხანია, გაუმიზეზდა და თამაშის საშუალებას არ აძლევს. გუნდს დისკვალიფიკაციის გამო მცველი მიხაელ ბაურიც ვერ დაეხმარება.

ჯერაც დაუმარცხებელი „შალკე" ბელეფილდს სტუმრობს. ბოლო სამ შეხვედრაში კინკილა ქულის დამგროვებელი „არმინია" საბრძოლო განწყობილებით ხვდება ერთ-ერთ ლიდერს. „არმინია" ორ კაცს მოისაკლისებს, მცველ მარსიო ბორგესს და ხორვატ ფორვარდ ილია არაჩიჩს. თავის მხრივ გელზენკირხენელებსაც აქვთ დანაკლისი — ნახევარმცველი იორგ ბიომე და ბელგიელი ემილ მპენზა.

მეორეადგილოსანი „ჰანზას" ერთ-ერთი აუტსაიდერი „ჰანოვერი" ჩააკითხავს. ჰანოვერელებმა ბოლო ორ ტურში ოთხი ქულა მოხვეტეს. თან სტუმრად „ლევერკუზენი" დააწიოკეს, შინ კი წლევანდელი ბუნდესლიგის აღმოჩენას „ბოხუმს" ფრე გაუშანშალეს. ალბათ, ეს ორი წარმატებული მატჩი გახდა მიზეზი იმისა, რომ მწვრთნელ რალფ რანგნიკს კონტრაქტი 2005 წლამდე გაუხანგრძლივეს.

„ჰანზას" ერთი კაცი არ ეყოლება, ნახევარმცველი მარკუს ლანცი სასჯელს იხდის.

სტუმრებს სენეგალელი მცველი დამე დიუფი და ბერძენი ნახევარმცველი კოსტას კონსტანდინიდის ვერ დაეხმარებიან.

„დორტმუნდმა" „ოსერთან" მატჩში კვლავაც გაიხარა მარსიო ამოროზოს დაბრუნებით. მწყობრში ჩადგა ჩია ჩეხი ტომაშ როსიცკიც. „ბორუსიას" მეტოქე მისივე მოსახელი კლუბია მიონხენგლადბახიდან. სტუმრებს მთავარმეგოლე არივან ლენტის და მცველ მარკ ებერლის გარეშე მოუწევთ „ვესტფალენშტადიონზე" ბურთაობა.

ერთადერთი გუნდი, რომელსაც გამარჯვების გემო ჯერაც ენატრება, ოთხგზის ბუნდესჩემპიონი „კაიზერსლაუტერნი" გახლავთ. ერიკ გერეტსის მისვლის შემდეგ თითქოს გამოკეთდა თამაშის ხარისხი, მაგრამ შედეგი ჯერ არ ჩანს. „ლაუტერნი" ნიურნბერგში შეეცდება ნავსის გატეხვას. მასპინძლებს მცველი ფრანკ ვიბლიშაუზერი, ნახევარმცველი იაცეკ კრჟინოვეკი და ფორვარდი კაი მიხალკე დააკლდებიან.

რიგით დამწყები „ბოხუმი" ცხრილში მეზობელ ბრემენის „ვერდერს" დაუხვდება. სტუმრებს მცველი ფრანკ ბაუმანი და ფრანგი გამთამაშებელი იონ მიკუ არ ეყოლებათ.



მიხაელ ბალაკი დაობლებულ „ლევერკუზენს" გამოცდის

# ესპანეთი

გიორგი დარჯანია

## სევილიაში ავტობუსი აღარ დარჩა

| IV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ვალიადოლიდი | — | რეალი |
| ალავესი | — | დეპორტივო |
| ბეტისი | — | ბარსელონა |
| **ხვალ** | | |
| ვალენსია | — | რაიო ვალეკანო |
| სელტა | — | მალაგა |
| ატლეტიკო | — | უელვა |
| ბილბაო | — | მალიორკა |
| ესპანიოლი | — | სევილია |
| ოსასუნა | — | სოსიედადი |
| რასინგი | — | ვილიარეალი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტა | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 9 |
| ვალენსია | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| სოსიედადი | 3 | 2 | 1 | 0 | 10:6 | 7 |
| ბარსელონა | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| მალაგა | 3 | 2 | 1 | 0 | 7:5 | 7 |
| რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| დეპორტივო | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| ვალიადოლიდი | 3 | 2 | 0 | 1 | 2:2 | 6 |
| ატლეტიკო | 3 | 1 | 2 | 0 | 7:3 | 5 |
| ბეტისი | 2 | 1 | 1 | 0 | 7:5 | 4 |
| რაიო | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| ალავესი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| რასინგი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| სევილია | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ვილიარეალი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| ოსასუნა | 3 | 0 | 1 | 2 | 4:8 | 1 |
| ბილბაო | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |
| ესპანიოლი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |
| უელვა | 3 | 0 | 0 | 3 | 2:9 | 0 |
| მალიორკა | 3 | 0 | 0 | 3 | 1:9 | 0 |

**ვინ არის** მასპინძელი? არავინ. „ბეტისი" — „ბარსელონას" მატჩზე მოგახსენებთ. ოფიციალურად მასპინძელი „ბეტისია", მაგრამ საქმე ისაა, რომ მისი სტადიონი ჯერ კიდევ შარშანდელი სეზონის ბოლოდან დისკვალიფიცირებულია და სასჯელი ამ სეზონშიც გადაჰყვა. შეგახსენებთ, რომ მაშინ, სევილიური დერბისას, „ბეტისის" ქომაგებმა თავისივე სარბიელი არ დაინდეს, დაარბიეს და ფედერაციამაც არ დაინდო.

მატჩი უელვაში გაიმართება, მაგრამ ბეტისელები მაინც შინაურად იგრძნობენ თავს, რაკი ოცი ათას სევილიელ ფანს უკვე შეკვეთილი აქვს ავტობუსისა და სტადიონის ბილეთები.

მოგეხსენებათ, „ბეტისმა" შარშან ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა და იქაურები ამბობენ, წელს უკეთესი გუნდი გვყავსო. ერთი რომ, ხოაკინის ტალანტი მსოფლიოს ჩემპიონატზე საბოლოოდ გაიფურჩქნა და ისიც, რომ გუნდში ვიქტორ ფერნანდესი მივიდა, ვინაც იქამდე ოთხი წელი დიდი წარმატებით წვრთნიდა „სელტას". ამათ გარდა „ბეტისში" მივიდნენ რომაელი ნახევარმცველი მარკუს ასუნსაო და ბარსელონელი ალფონსო.

„ბარსელონამ" კი, სამეფო თასიდან გავარდნის შემდეგ, ოთხი მატჩი მოიგო და მეტოქედ ვინც გინდა ჰყავდეს, ესპანეთში ყოველთვის ფავორიტია. ხოლო გუნდის კაპიტანმა ლუის ენრიკემ, რომელსაც ბოლო ოთხ მატჩში მოედანი უგოლოდ არ დაუტოვებია, თქვა: „თასზე დამარცხება დიდი ხანია, დავივიწყეთ და ბოლო მატჩებში როგორც ვთამაშობთ, თავადაც ხედავთ. თუმცაღა საუკეთესო ფორმაში ჯერ არ შევსულვართ."

ვიქტორ ფერნანდესის წასვლა „სელტას" ჯერ არ დატყობია და გუნდი ქულათა დაუკარგავად ლიდერობს ჩემპიონატს. მაგრამ ერთიცაა, კალენდარი იმგვარად არის შედგენილი, რომ ვიგოელებს, საწყის სამ ტურში შედარებით იოლი მეტოქეები ერგოთ. ახლა მეტ-ნაკლებად სერიოზული გამოცდა ელით, ხვალ „მალაგას" მასპინძლობენ.

ერთი შეხედვით, „მალაგა" დიადი გუნდი სულაც არაა, მაგრამ გავიხსენოთ, რომ მალაგელები წინა ტურში 2:0 უგებდნენ „ვალენსიას" და მხოლოდ მსაჯის წამატებულ წუთებში გაუშვეს მეორე საპასუხო გოლი.

„დეპორტივოს" ძალიან მძიმე კვირა აქვს. ჯერ იყო და, გამთამაშებელი ხუან კარლოს ვალერონი გამოაკლდა, მერე „მილანთან" საშინლად შერცხვა, ახლა კი სწრაფფეხა გარემარბი ვიქტორიც ლაზარეთში გაამწესა. და მაინც, „დეპორტივოს" ჩამოსაწერად დიდი გამბედაობაა საჭირო, გუნდი ხელიხელ მესამე პრიმერული გამარჯვებისთვის და „მილანის" დასავიწყებლად ილესავს კბილებს. ამასთანავე, მეტოქედ რგებულ „ალავესს" ტრავმის გამო დააკლდება ხორდი იოჰანის ძე კრუიფი.

„სელტასავით" დაუმარცხებელი „რეალი" ვალიადოლიდში ჩადის, სადაც შარშან დათმო თამაში. მადრიდელებს არ ეყოლებათ ფეხმტკივანი ივან ელგერა, თუმც ეს არც ისე დიდი დანაკლისია გუნდისთვის, რომელმაც სეზონის დაწყებიდან ექვს ოფიციალურ შეხვედრაში 26 გოლის გატანა მოახერხა (ევროპის სუპერთასზე — 3, სამეფო თასზე — 8, ჩემპიონატში — 6 და ჩემპიონთა ლიგაში — 9). ამასთანავე, მოედანზე დასაბრუნებლად მზად არიან ზინედინ ზიდანი და კლოდ მაკელელე, ხოლო რონალდოს გამოჩენას საშველი, ალბათ, არც ახლა დაადგება.

სეზონი ხეირიანად არც დაწყებულა და „ვილიარეალს", მოგეხსენებათ, უკვე მწვრთნელი შეეცვალა. ბენიტო ფლოროს პირველად წინა ტურში დამოძღვრა ბიჭები, მაგრამ სახეიროს ვერაფერს გამორჩა, საშინაო თამაში წააგო „ალავესთან". ფლოროს მეორე ცდა სანტანდერში აქვს პრიმერადივიზიონში დაბრუნებულ „რასინგთან". კანტაბრიელებს კი არ ეყოლებათ ბელგიელი მეკარე ერვინ ლემენსი, რომელიც წინა უქმეებზე „რაიო ვალეკანოსთან" წაგებული მატჩისას გააძევეს.

„რაიოს" ვალენსიაში ელის უმძიმესი მატჩი დაუმარცხებელ ჩემპიონ „ვალენსიასთან". სავარაუდოა, რომ მასპინძელთა დამრიგებელი რაფაელ ბენიტესი, მოსკოვური მატჩისგან განსხვავებით, ხუან სანჩესს სასტარტო შემადგენლობაში იყოლიებს.

დანარჩენ წყვილებზე სათქმელი არაფერია, გუნდებში ყველაფერი ძველებურადაა. ერთი, „ესპანიოლი" — „სევილიას" მატჩზე შეიძლება ორიოდე სიტყვის თქმა. ბარსელონელებს დაშავებული ჰყავთ ივან დე ლა პენია, ხოლო სევილიელთა გუნდში ვინი სამვეი ითამაშებს დისკვალიფიცირებული მარკოს ვალესის ნაცვლად.



ივან დე ლა პენიას შვებულება გაუფორმეს

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. VII ტური** | | | | | | |
| | | **28 სექტემბერი** | | | | | | |
| 18.30 | 001 | კოტბუსი-ვოლფსბურგი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 18.30 | 002 | მიუნხენი-ჰერტა | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 18.30 | 003 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 1,95 | 3,1 | 3,6 | 1,19 | 1,26 | 1,66 |
| 18.30 | 004 | არმინია-შალკე | 2,9 | 3,1 | 2,3 | 1,49 | 1,28 | 1,32 |
| 18.30 | 005 | ჰანზა-ჰანოვერი | 1,75 | 3,1 | 4,4 | 1,11 | 1,25 | 1,81 |
| 18.30 | 006 | ლევერკუზენი-ბაიერნი | 3,1 | 3,1 | 2,2 | 1,54 | 1,28 | 1,28 |
| 18.30 | 007 | დორტმუნდი-მიონხენგლადბახი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 008 | ნიურნბერგი-კაიზერსლაუტერნი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 20.30 | 009 | ბოხუმი-ვერდერი | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. VII ტური** | | | | | | |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 013 | ლიუბეკი-ბურგჰაუზენი | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,26 | 1,78 |
| 18.00 | 014 | ალენი-კარლსრუე | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 18.00 | 015 | აინტრახტი-დუისბურგი | 1,6 | 3,2 | 5,6 | 1,06 | 1,24 | 2,03 |
| 18.00 | 016 | ობერჰაუზენი-როიტლინგენი | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| 18.00 | 017 | ტრიერი-ალემანია | 1,75 | 3,0 | 4,7 | 1,1 | 1,27 | 1,83 |
| | | **30 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.15 | 018 | მაინცი-ფრაიბურგი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). X ტური** | | | | | | |
| | | **28 სექტემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 021 | აუე-მიუნსტერი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| 17.00 | 022 | ურდინგენი-ბაბელსბერგი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 17.00 | 023 | კელნი-ვერლი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 17.00 | 024 | პადერბორნი-ვერდერი(მ) | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 17.00 | 025 | ოსნაბრიუკი-დინამო | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 026 | ჰამბურგი(მ)-კელნი(მ) | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 17.00 | 027 | დორტმუნდი(მ)-ვატენშაიდი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 17.00 | 028 | დრეზდენი-ქილი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XII ტური** | | | | | | |
| | | **28 სექტემბერი** | | | | | | |
| 17.30 | 035 | აუგსბურგი-ელვერსბერგი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 17.30 | 036 | ერფურტი-ჰოფენჰაიმი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 17.30 | 037 | ფულენდორფი-კიკერსი | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |
| 17.30 | 038 | აალენი-კაიზერსლაუტერნი(მ) | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 039 | ზიგენი-დარმშტადტი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 20.00 | 040 | ნოინკირხენი-რეგენსბურგი | 3,4 | 3,1 | 2,05 | 1,62 | 1,27 | 1,23 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. VIII ტური** | | | | | | |
| | | **28 სექტემბერი** | | | | | | |
| 16.00 | 042 | ლიდსი-არსენალი | 2,7 | 3,1 | 2,35 | 1,44 | 1,25 | 1,33 |
| 19.00 | 043 | ბოლტონი-საუთჰემპტონი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| 19.00 | 044 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 5,0 | 3,4 | 1,6 | 2,02 | 1,21 | 1,08 |
| 19.00 | 045 | ჩელსი-ვესტ ჰემი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 046 | ჩელსი-ვესტ ჰემი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 19.00 | 047 | ევერტონი-ფულემი | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| 19.00 | 048 | სიტი-ლივერპული | 3,0 | 3,1 | 2,25 | 1,52 | 1,28 | 1,3 |
| 19.00 | 049 | სანდერლენდი-ასტონ ვილა | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 19.00 | 050 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 21.30 | 051 | ბირმინგემი-ნიუკასლი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| | | **30 სექტემბერი** | | | | | | |
| 24.00 | 052 | ვესტ ბრომვიჩი-ბლეკბერნი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. XI ტური** | | | | | | |
| | | **28 სექტემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 057 | ბრაიტონი-გრიმსბი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 19.00 | 058 | ბერნლი-უიმბლდონი | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| 19.00 | 059 | ქოვენტრი-მილუოლი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 060 | იფსვიჩი-დერბი | 1,85 | 3,1 | 4,0 | 1,15 | 1,26 | 1,74 |
| 19.00 | 061 | ლესტერი-ვულვერჰემპტონი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 062 | ნოტინგემი-როტერჰემი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 063 | პორტსმუტი-ბრედფორდი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 19.00 | 064 | პრესტონი-ნორვიჩი | 2,4 | 3,0 | 2,8 | 1,33 | 1,29 | 1,44 |
| 19.00 | 065 | რედინგი-სტოკი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 066 | შეფილდი-უოტფორდი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 067 | უოლსოლი-უენსდეი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.05 | 068 | კრისტალ პალასი-ჯილინგემი | 1,9 | 3,2 | 3,6 | | | |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. XI ტური** | | | | | | |
| | | **28 სექტემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 071 | ბარნსლი-უიგანი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 19.00 | 072 | კარდიფი-ქრიუ | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| 19.00 | 073 | ჩესტერფილდი-ნოტსი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 074 | ჩელტენჰემი-ბლეკპული | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 19.00 | 075 | ლუტონი-სუინდონი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 076 | ნორთჰემპტონი-მანსფილდი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 19.00 | 077 | ოლდემი-პიტერბორო | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 078 | პლიმუთი-ბრენტფორდი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 19.00 | 079 | პორტ ვეილი-ბრისტოლი | 2,1 | 3,0 | 3,4 | 1,23 | 1,29 | 1,59 |
| 19.00 | 080 | ქუინს პარკი-კოლჩესტერი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 19.00 | 081 | ტრანმერი-სტოკპორტი | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |
| 19.00 | 082 | უიკომბი-ჰადერსფილდი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. XI ტური** | | | | | | |
| | | **28 სექტემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 086 | ბოსტონი-კემბრიჯი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 19.00 | 087 | ბორნმუთი-კარლაილი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 19.00 | 088 | რექსემი-კიდერმინსტერი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 089 | ჰარტლპული-რაშდენი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 19.00 | 090 | ჰალი-სუონსი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 19.00 | 091 | ლეიტონი-დარლინგტონი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| 19.00 | 092 | როჩდეილი-მაკლსფილდი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 19.00 | 093 | სკანთორპი-შრუსბერი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 094 | საუთენდი-ექსეტერი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 19.00 | 095 | ტორკი-ლინკოლნი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 19.00 | 096 | რექსემი-ბერი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 19.00 | 097 | იორკი-ოქსფორდი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| | | **იტალია. სერია "A". IV ტური** | | | | | | |
| | | **28 სექტემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 100 | იუვენტუსი-პარმა | 1,4 | 3,6 | 7,5 | 1 | 1,17 | 2,43 |
| | 101 | იუვენტუსი-პარმა 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 | | | |
| 23.30 | 102 | ლაციო-მილანი | 2,7 | 2,9 | 2,5 | 1,39 | 1,29 | 1,34 |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 103 | ბოლონია-პიაჩენცა | 1,75 | 3,0 | 4,7 | 1,1 | 1,27 | 1,83 |
| 18.00 | 104 | ბრეშა-რომა | 3,1 | 2,9 | 2,3 | 1,49 | 1,32 | 1,28 |
| 18.00 | 105 | კომო-რეჯინა | 2,1 | 3,0 | 3,4 | 1,23 | 1,29 | 1,59 |
| 18.00 | 106 | მოდენა-ტორინო | 2,3 | 2,9 | 3,1 | 1,28 | 1,32 | 1,49 |
| 18.00 | 107 | პერუჯა-ემპოლი | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| 18.00 | 108 | უდინეზე-ატალანტა | 2,1 | 2,9 | 3,5 | 1,21 | 1,31 | 1,58 |
| 23.30 | 109 | ინტერი-კიევო | 1,4 | 3,6 | 7,5 | 1 | 1,17 | 2,43 |
| | 110 | ინტერი-კიევო 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 | | | |
| | | **იტალია. სერია "B". V ტური** | | | | | | |
| | | **28 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 111 | ანკონა-ტერნანა | 1,75 | 2,8 | 5,3 | 1,07 | 1,31 | 1,83 |
| 23.30 | 112 | ბარი-ნაპოლი | 2,3 | 2,7 | 3,3 | 1,24 | 1,35 | 1,48 |
| 23.30 | 113 | კალიარი-ვენეცია | 1,7 | 2,8 | 5,6 | 1,05 | 1,3 | 1,86 |
| 23.30 | 114 | მესინა-ლეჩე | 2,5 | 2,8 | 2,8 | 1,32 | 1,32 | 1,39 |
| 23.30 | 115 | სალერნიტანა-ლივორნო | 2,2 | 2,9 | 3,3 | 1,25 | 1,32 | 1,54 |
| 23.30 | 116 | სამპდორია-კოზენცა | 1,5 | 3,3 | 7,0 | 1,03 | 1,23 | 2,24 |
| 23.30 | 117 | სიენა-ვიჩენცა | 2,3 | 2,7 | 3,3 | 1,24 | 1,35 | 1,48 |
| 23.30 | 118 | ტრიესტინა-პალერმო | 2,6 | 2,7 | 2,8 | 1,32 | 1,34 | 1,37 |
| 23.30 | 119 | ვერონა-ასკოლი | 1,65 | 2,9 | 6,0 | 1,05 | 1,29 | 1,95 |
| 23.30 | 120 | ჯენოა-კატანია | 1,9 | 2,8 | 4,4 | 1,13 | 1,32 | 1,71 |
| | | **იტალია. სერია. "C1-A". V ტური** | | | | | | |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 121 | ალბინოლეფე-ვარეზე | 1,65 | 2,9 | 6,0 | 1,05 | 1,29 | 1,95 |
| 18.00 | 122 | ალესანდრია-პიზა | 2,2 | 2,7 | 3,5 | 1,21 | 1,35 | 1,52 |
| 18.00 | 123 | არეცო-რეჯიანა | 2,25 | 2,1 | 3,5 | 1,08 | 1,36 | 1,31 |
| 18.00 | 124 | კარარეზე-ტრევიზო | 2,5 | 2,7 | 2,9 | 1,29 | 1,34 | 1,39 |
| 18.00 | 125 | ჩიტადელა-ლუმეცანე | 1,95 | 2,7 | 4,4 | 1,13 | 1,35 | 1,67 |
| 18.00 | 126 | ლუკეზე-ჩეზენა | 2,35 | 2,6 | 3,3 | 1,23 | 1,37 | 1,45 |
| 18.00 | 127 | პრატო-პადოვა | 2,3 | 2,6 | 3,4 | 1,22 | 1,37 | 1,47 |
| 18.00 | 128 | პროპატრია-სპალი | 2,2 | 2,6 | 3,6 | 1,19 | 1,36 | 1,5 |
| | | **30 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 129 | პალაცოლო-სპეცია | 1,95 | 2,6 | 4,7 | 1,11 | 1,37 | 1,67 |
| | | **იტალია. სერია. "C1-B". V ტური** | | | | | | |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 130 | ბენევენტო-ტარანტო | 2,15 | 2,5 | 4,0 | 1,15 | 1,39 | 1,53 |
| 18.00 | 131 | კროტონე-პესკარა | 1,5 | 3,2 | 7,5 | 1,02 | 1,25 | 2,24 |
| 18.00 | 132 | ფერმანა-აველინო | 2,5 | 2,5 | 3,1 | 1,25 | 1,38 | 1,38 |
| 18.00 | 133 | ჯელა-ვიტერბეზე | 2,2 | 2,7 | 3,5 | 1,21 | 1,35 | 1,52 |
| 18.00 | 134 | ლანჩანო-კიეტი | 1,65 | 2,8 | 6,5 | 1,03 | 1,31 | 1,95 |
| 18.00 | 135 | მარტინა-ჩივიტანოვა | 2,25 | 2,7 | 3,4 | 1,22 | 1,35 | 1,5 |
| 18.00 | 136 | პატერნო-ტორესი | 2,2 | 2,6 | 3,6 | 1,19 | 1,36 | 1,5 |
| 18.00 | 137 | სორა-ჩივიტანოვა | 2,4 | 2,6 | 3,2 | 1,24 | 1,37 | 1,43 |
| 18.00 | 138 | ტერამო-სამბენედეტეზე | 2,0 | 2,7 | 4,2 | 1,14 | 1,35 | 1,64 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. IV ტური** | | | | | | |
| | | **28 სექტემბერი** | | | | | | |
| 00.30 | 146 | ბეტისი-ბარსელონა (შუღამე) | 2,7 | 2,9 | 2,5 | 1,39 | 1,29 | 1,34 |
| 00.30 | 147 | ვალიადოლიდი-რეალი | 4,2 | 3,1 | 1,8 | 1,78 | 1,25 | 1,13 |
| 23.30 | 148 | ალავესი-დეპორტივო | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 149 | ბილბაო-მალიორკა | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 21.00 | 150 | ატლეტიკო-უელვა | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 21.00 | 151 | სელტა-მალაგა | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |
| 21.00 | 152 | ესპანიოლი-სევილია | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |
| 22.00 | 153 | ოსასუნა-სოსიედადი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 21.00 | 154 | რასინგი-ვილიარეალი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 23.30 | 144 | ვალენსია-რაიო | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 145 | ვალენსია-რაიო 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. IV ტური** | | | | | | |
| | | **28 სექტემბერი** | | | | | | |
| 21.30 | 156 | კომპოსტელა-ოვიედო | 2,4 | 2,9 | 2,9 | 1,31 | 1,31 | 1,45 |
| 21.30 | 157 | ლევანტე-ხერესი | 2,5 | 2,8 | 2,8 | 1,32 | 1,32 | 1,39 |
| 21.30 | 161 | ლეგანესი-ეიბარი | 2,2 | 2,9 | 3,3 | 1,25 | 1,32 | 1,54 |
| 21.30 | 165 | კორდობა-ტერასა | 1,85 | 3,0 | 4,2 | 1,14 | 1,28 | 1,75 |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 15.00 | 155 | ალბასეტე-ელჩე | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |
| 21.00 | 158 | სალამანკა-ბადახოსი | 1,75 | 3,1 | 4,4 | 1,11 | 1,25 | 1,81 |
| 21.30 | 159 | სპორტინგი-ლას პალმასი | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |
| 22.00 | 160 | ტენერიფე-სარაგოსა | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 20.00 | 162 | ფეროლი-ხეტაფე | 1,75 | 3,0 | 4,7 | 1,1 | 1,27 | 1,83 |
| 23.00 | 163 | მურსია-ალმერია | 1,6 | 3,2 | 5,6 | 1,06 | 1,24 | 2,03 |
| 21.00 | 164 | ეხიდო-ნუმანსია | 2,2 | 2,9 | 3,3 | 1,25 | 1,32 | 1,54 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. IX ტური** | | | | | | |
| | | **28 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.15 | 167 | ნანტი-ოსერი | 2,2 | 2,9 | 3,3 | 1,25 | 1,32 | 1,54 |
| 23.00 | 168 | ბასტია-ბორდო | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |
| 23.00 | 169 | გენგამი-სტრასბური | 1,85 | 2,9 | 4,4 | 1,12 | 1,3 | 1,74 |
| 23.00 | 170 | ლანსი-ლილი | 1,7 | 3,0 | 5,0 | 1,08 | 1,26 | 1,87 |
| 23.00 | 171 | მონაკო-რენი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 23.00 | 172 | მონპელიე-პსჟ | 2,7 | 2,9 | 2,5 | 1,39 | 1,29 | 1,34 |
| 23.00 | 173 | სედანი-ლე ავრი | 2,05 | 2,9 | 3,6 | 1,2 | 1,3 | 1,6 |
| 23.00 | 174 | სოშო-ნიცა | 2,1 | 2,9 | 3,5 | 1,21 | 1,31 | 1,58 |
| 23.00 | 175 | ტრუა-ლიონი | 2,9 | 2,9 | 2,4 | 1,45 | 1,31 | 1,31 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. X ტური** | | | | | | |
| | | **28 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 176 | ბოვე-ლორიანი | 2,3 | 2,8 | 3,2 | 1,26 | 1,33 | 1,49 |
| 23.00 | 177 | კანი-რეიმსი | 1,6 | 3,1 | 6,0 | 1,05 | 1,26 | 2,04 |
| 23.00 | 178 | შატორუ-ამიენი | 1,65 | 3,0 | 5,6 | 1,06 | 1,27 | 1,95 |
| 23.00 | 179 | კრეტეი-ისტრი | 1,85 | 2,9 | 4,4 | 1,12 | 1,3 | 1,74 |
| 23.00 | 180 | ლავალი-გრენობლი | 1,75 | 3,0 | 4,7 | 1,1 | 1,27 | 1,83 |
| 23.00 | 181 | ნანსი-გენიონი | 1,75 | 3,0 | 4,7 | 1,1 | 1,27 | 1,83 |
| 23.00 | 182 | ნიორი-სტ. ეტიენი | 2,05 | 2,9 | 3,6 | 1,2 | 1,3 | 1,6 |
| 23.00 | 183 | ვალანსი-ტულუზი | 2,5 | 2,8 | 2,8 | 1,32 | 1,32 | 1,39 |
| 23.00 | 184 | ვასკეალი-ლე მანი | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.45 | 185 | კლერმონი-მეცი | 2,5 | 2,9 | 2,7 | 1,34 | 1,29 | 1,39 |
| | | **პორტუგალია. I ლიგა. V ტური.** | | | | | | |
| | | **28 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 188 | პორტუ-მარიტიმუ | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 189 | პორტუ-მარიტიმუ 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| 01.00 | 190 | ნაციონალი-ბენფიკა | 5,0 | 3,4 | 1,6 | 2,02 | 1,21 | 1,08 |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 191 | ვარზიმი-ბელენენსეში | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 20.00 | 192 | სეტუბალი-ბეირა მარი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 20.00 | 193 | მორეირენსე-ლეირია | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 21.00 | 194 | სანტა კლარა-ჟილ ვისენტე | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 22.00 | 195 | ფერეირა-ბოავიშტა | 3,0 | 3,2 | 2,2 | 1,54 | 1,26 | 1,3 |
| 00.30 | 196 | ბრაგა-სპორტინგი | 3,2 | 3,2 | 2,1 | 1,6 | 1,26 | 1,26 |
| | | **30 სექტემბერი** | | | | | | |
| 00.30 | 197 | აკადემიკა-გიმარაეში | 2,9 | 3,2 | 2,25 | 1,52 | 1,26 | 1,32 |
| | | **პორტუგალია. II ლიგა. V ტური** | | | | | | |
| | | **28 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 200 | ამადორა-სალგეიროში | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 201 | ფელგეირაში-ნავალი | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 20.00 | 202 | ლეიშოში-ფარენსე | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 20.00 | 203 | მაია-შავეში | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 20.00 | 204 | პორტიმონენსე-ალვერკა | 2,2 | 2,9 | 3,3 | 1,25 | 1,32 | 1,54 |
| 20.00 | 205 | პენაფიელი-ავეში | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |
| 20.00 | 206 | ლეცა-კოვილია | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| 20.00 | 207 | მარკუ-ოვარენსე | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 20.00 | 208 | მადეირა-რიო ავე | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. VI ტური** | | | | | | |
| | | **28 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 212 | პსვ-გრაფსხაპი | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
| | 213 | პსვ-გრაფსხაპი 0:1 | 1,25 | 4,0 | 4,7 | | | |
| 22.30 | 214 | როზენდალი-ფეიენოორდი | 5,6 | 3,4 | 1,55 | 2,11 | 1,21 | 1,06 |
| 22.30 | 215 | ტილბურგი-ზვოლე | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
**— თქვენს მიერ ჩამოთვლილ მიზეზთა შორის მთავარი ალბათ მაინც შეუთამაშებლობაა. ამ მხრივ წლეულს არ უნდა დაიჩივლოთ, „დინამომ“ ხომ საფუძვლიანი შეკრებები გაიარა...**

— ამჯერად შედარებით უკეთესი მდგომარეობაა შეთამაშების მხრივ. ბულგარეთსა და სომხეთში მოწყობილი შეკრებები მაქსიმალურად გამოვიყენეთ. თუმცა მთლად ისე არ გამოგვივიდა, როგორც ვგეგმავდი. არ ვიცი, ვისი მიზეზით, მაგრამ გუნდის ორი წამყვანი მოთამაშე, ოგანესიანი და მუპე ბულგარეთში ვერ წამოგვყვნენ და ამგვარი ორგანიზაციული საკითხები თუ არ იქნა მოგვარებული, ეს გუნდი არასდროს იქნება გუნდი. ჩემი მოვალეობა მომზადებაა და არა ორგანიზაციული საკითხები და ვინც უნდა, იმან მიიღოს თავის თავზე. მაგრამ ბულგარულ შეკრებაზე დახარჯული ფული წყალშია გადაყრილი. ეს მოვახსენე კიდეც გუშინ ბატონ ბადრი პატარკაციშვილს. ჩვენ ბულგარეთში საკონტროლო მატჩების ჩატარება და გუნდის სათამაშო ტაქტიკის შემუშავება გვინდოდა და რა გამოვიდა: იმ ორი მოთამაშის გარდა, ავადმყოფობის გამო ირაკლი ჯაფარიძეც გამოგვაკლდა და ფაქტობრივად უცენტროდ დავრჩით. თან ირაკლი ხოშტარიაც ავად გახდა და მატჩების გამართვას აზრი აღარ ჰქონდა. აბა, ჩვენ იქ ოქროს ქვიშებზე გასარუჯავად კი არ გვსურდა წასვლა... ყველაფრის მიუხედავად, ის იდეალური პირობები, რომელიც ბულგარეთში შეგვიქმნეს, ნაყოფიერად გამოვიყენეთ.

**— ზემოთ „ბასკოს“ მიერ დახარჯული ფული ახსენეთ. წლეულს ყველაფრიდან ჩანს, რომ ამ მხრივ „დინამო“ გამოირჩევა: წამყვანი ქართველი კალათბურთელები შეიძინეთ, აღარაფერს ვამბობ საწვრთნელი ბაზის მშენებლობაზე...**

— ეგ არავინ იცის, რომელი უფრო მეტ ფულს ხარჯავს. ჩვენ თუ ახლა ვაშენებთ ბაზას, „ბასკომ“ უკვე ააშენა.

**— მაშ, ფულის ხარჯვით შევაფასოთ და გამოვა, რომ ჩემპიონობისთვის მთავარ კონკურენტად „ბასკოს“ მიიჩნევთ...**

— რა თქმა უნდა. ის ამბავი, რომ ბათუმელებმა გუნდის ძირითადი ბირთვი გაუშვეს, არაფერს ნიშნავს. ჯერ ერთი, მათ საკმაოდ ძლიერი შევსება მიიღეს და განაცხადშიც ოთხი ადგილი აქვთ შემონახული. ცხადია, ახლა „ბასკო“ ძლიერ უცხოელს ეძებს და, სავარაუდოდ, იპოვის კიდეც. ასე რომ, ჩემი აზრით, ჩემპიონობისთვის ისევ ბათუმელებთან მოგვიწევს ბრძოლა.

**— ამ სეზონში ევროტურნირში მონაწილეობთ. ყველამ ვიცით იქ ქართული კლუბების გამოსვლის ამბავი, „დინამოსაც“ იგივე ხომ არ ემუქრება?**

— აქამდე მართლაც ბევრი სირცხვილი ვჭამეთ, მაგრამ „დინამო“ იმიტომაც დათანხმდა ევროთასზე თამაშს, რომ გათამაშების ფორმატი შეიცვალა. ოლიმპიური სისტემის ნაცვლად ამჯერად ჯგუფური ტურნირია და რაც უნდა მოხდეს, ექვსი თამაში გარანტირებული გვაქვს.

**— კი მაგრამ, თუ წააგეთ, რა აზრი აქვს, რამდენს ითამაშებთ?**

— დიდი მობილიზება გვმართებს, რადგან ხელწამოსაკრავი გუნდი არც ერთია. ბაქოელებიც კი საშიშნი არიან. მათ რიმას კურტინაიტისი წვრთნის, რომელსაც ექვსი ლიტველიც ჩაუყვანია ბაქოში. სადაც ფული არაა, კურტინაიტისი იქ არ წავა. ასე რომ, პირველ მატჩში, რომელიც 30 ოქტომბერს თბილისში სწორედ ბაქოს კლუბთან გვექნება, სერიოზული ბრძოლა გველის. თუ ხოშტარია და ჯაფარიძე არ გამოჯანმრთელდნენ, ძალიან გაგვიჭირდება. უკან დასახევი გზაც მოჭრილი გვაქვს, ტურნირში მონაწილეობაზე უარი რომ ვთქვათ, 20 ათას ევროიან ჯარიმას დაგვაკისრებენ... რაც შეეხება დანარჩენ ორ მოწინააღმდეგეს, რუსული და უკრაინული კლუბები ძალიან ძლიერები არიან. თუ მოვიგებთ, შინაურ მატჩებში, თორემ სტუმრად ხეირს არ ველით.

**ირაკლი ბერტაია**





ჩოგბურთიდან ასაბარგებლად გამზადებულმა მაიკლ ჩანგმა ჰონკონგში თავისი ავტობიოგრაფიული წიგნიც გაყიდა

# დავბერდი...

## ჩანგი ნელ-ნელა მიდის

**CAMPIONATI INTERNAZIONALI DI SICILIA**
პალერმო. თიხა
საპრიზო 381 000 $

**მეორე წრე**

**მარსელო რიოსი** (1, ჩილე) — ატილა სავოლტი (უნგრეთი) 6:1, 6:2; **ხოსე აკასუსო** (3, არგენტინა) — ნიკოლა კუტილო (საფრანგეთი) 6:4, 7:6 (7:5); **ლუის ორნა** (პერუ) — დავიდ ფერერი (5, ესპანეთი) 6:1, 6:2; **დავიდ სანჩესი** (6, ესპანეთი) — იურგენ მელცერი (ავსტრია) 3:6, 6:1, 6:1; **ბოგდან ულირახი** (ჩეხეთი) — ფერნანდუ მელიგენი (ბრაზილია) 7:5, 6:3; **სარგის სარგსიანი** (სომხეთი) — ხუან ანტონიო მარინი (კოსტა რიკა) 6:2, 7:6 (7:4)

ტურნირზე მთავარგანთესილ მარსელო რიოსს მეოთხედფინალში მოსახვედრად მხოლოდ მსუბუქი წაჩოგნავება დასჭირდა — უნგრელი ატილა სავოლტის დასამარცხებლად მეტი არც იყო საჭირო და იმიტომ.

გაცილებით რთული ამოცანა ერგო 19 წლის ნიჭიერ არგენტინელ ხოსე აკასუსოს, ვინაც ფრანგ ნიკოლა კუტილოსთან მძიმე ორსეტიანი ომი გადაიტანა. ჭაბუკ გაუჩოს წლეულს ორ ფინალში უკვე უთამაშია — ივლისში სოპოტში გაიმარჯვა, ადრესექტემბერში კი ბუქარესტში წაიფორხილა — და იმედოვნებს, რომ საამსეზონო ფინალები პალერმოში გაუსამდება.

რუმინეთის დედაქალაქში აკასუსოს მასზე წლით უფროსმა, ოღონდ მასსავით გამოუცდელმა დავიდ ფერერმა სძლია, პერსპექტიულმა ესპანელმა, ვინაც იმ დღეს პერუელთა პირველმჩოგნე ლუის ორნამ გაპენტა. ორნას აქამდე მეოთხედფინალში არასოდეს ეთამაშა და ამიტომ იყო, ნამატჩევს პირი ყურებამდე რომ გახეოდა.

განსაკუთრებით ანგარიში მიკვირს — წესით და რიგით, ასე არ უნდა მომეგო, ამბობდა. თუმცა იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ ფერერი თავის მხოლოდ მე-4 სა-ATP-ო ტურნირზე გამოდიოდა, მაშინ არაფერი უნდა გაგვიკვირდეს.

**SALEM OPEN**
ჰონკონგი. ხარდი
საპრიზო 400 ათასი $

**პირველი წრე**

**მარატ საფინი** (1, რუსეთი) — ლარს ბიურგსმიულერი (გერმანია) 6:2, 6:2; **ხუან კარლოს ფერერო** (2, ესპანეთი) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:2, 6:4; **კარლოს მოია** (3, ესპანეთი) — ჟან-მიშელ გემბილი (აშშ) 6:4, 3:6, 6:3; **ალბერტ კოსტა** (4, ესპანეთი) — მაიკლ ჩანგი (აშშ) 7:6 (8:6), 6:4; **ხუან იგნასიო ჩელა** (5, არგენტინა) — მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 6:3, 6:4; **ნიკოლას ლაპენტი** (7, ეკვადორი) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 7:5, 6:2; **ტეილორ დენტი** (აშშ) — პარადორნ შრიჩაფანი (8, ტაილანდი) 6:4, 0:6, 7:5

გაუთავდა, ნალექი და ნესტი გაუთავდა ჰონკონგის თავზე ორი დღელამის განმავლობაში მოშხაპუნე ღრუბლიონს, გაეკრა, სახველოსნო აპკი გაეკრა იქაურ ცას და ბარაქიანი ჩოგნაობის მომლოდინე ქომაგსაც კაეშანი გადაეყარა, გუნება გაუხალისდა და ტრიბუნაზე დასავლომი გამოუშრალდა. მოკლედ — კარგა ხანს შეწყვეტილი ტურნირი გაგრძელდა და ჩვენც სათხრობ-საამბობი მოგვეძალა.

დავიწყოთ იმით, რომ ტურნირის სამგზის მაოხარმა და იქ ზედიზედ მეთორმეტედ ჩასულმა მაიკლ ჩანგმა ჩოგანი პირველსავე მატჩში დახარა. სხვანაირ შედეგს ალბათ თავადაც არ ელოდა, რაკილა წლეულს აქა-იქ მხრჩოლავს ბრძოლა მთელი სეზონის განმავლობაში წალმართად მობურთავე ალექს კორეჩასთვის უნდა გაემართა.

ვერ გაუმართა.

და როგორც ტურნირის დაწყებამდე ამბობდა, აწი მას ჰონკონგურ კორტზე ველარასოდეს ვიხილავთ — 30 წლის გამოჩენილი აზიოამერიკელი და 1989 წლის მეროლანგაროსე, რომელზე მეტ ტიტულსაც (34) დღემდე მოქმედ ჩოგბურთელთაგან მხოლოდ პიტ სამპრასი (64) და ანდრე აგასი (53) ფლობენ, მომავალი სეზონიდან თავს დაგვიკრავს და საკორტო უკვდავებას შეუერთდება...

სხვაფრივ — მთავარსამეულმა, რასაც მარატ საფინი და კიდევ ორი ესპანელი — ხუან კარლოს ფერერო და კარლოს მოია შეადგენენ, მეოთხე ნომრად განთესილი კორეჩას დარად რიგიანად იბურთავეს და მომავალ წრეში გავიდნენ.

ავსტრიელ შტეფან კუბეკთან წვიმის გამო გადადებული შეხვედრა, რომელსაც ის 6:2, 2:3 იგებდა, კოლოფერერომ 20 წუთში მოამთავრა. ასევე იოლად გაინავარდა ყოჩმა სკვითმუსლიმმაც. მცირედი დაბრკოლება მხოლოდ მოიას მიადგა — გაჯიუტებული გემბილს მან მხოლოდ მესამე სეტში აჯობა.

დღის ერთადერთი სენსაცია აზიელთა ზეიმედის, ამ ბოლო თვეთა განმავლობაში საოცრად გაპარპაშებული პარადორნ შრიჩაფანის დამარცხება იყო. ნიჭიერ ტაილანდელს ამერიკელი დენტი მოერია.

**SPARKASSEN CUP INTERNATIONAL DAMMEN TENNIS GRAND PRIX**
ლაიპციგი. ხალიჩა
საპრიზო 585 000 $

**მეორე წრე**

**კიმ კლაისტერსი** (4, ბელგია) — ნადია პეტროვა (რუსეთი) 6:4, 6:2; **ანასტასია მისკინა** (6, რუსეთი) — კვეტა პრდლიკოვა (ჩეხეთი) 6:4, 3:6, 6:1; **ბარბარა რიტნერი** (გერმანია) — სილვია ფარინა ელია (7, იტალია) 4:6, 6:4, 6:3; **ჟანეტ ჰუსაროვა** (სლოვაკეთი) — ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) 1:6, 7:6 (7:2), 7:6 (8:6)

ტურნირის წინა ორი წლის განმავლობაში ამკლებმა კიმ კლაისტერსმა ტიტულის დაცვა სექსფეხება რუსის, ნადია პეტროვას განდევნით დაიწყო. მე უფრო სწრაფად ვმოძრაობდი და მატჩის ბედიც ამან გადაწყვიტაო, ამბობდა მერე. „ტოკიოდან გადმოფრენა მთლიანად „მოვინელე“ და ახლა სრულ მზადყოფნაში ვარ“ — დასძენდა პოუიტის ფუმფულა ქალი.

ტოკიოში ის, ეგებ გახსოვდეთ, „პრინსეს კაპის“ ტურნირზე თამაშობდა და ფინალში სერენა უილიამსისგან დაიჩოგნა.

დანარჩენი შეხვედრებიდან გამოსაყოფია ლაიპციგურ ხალიჩას შერჩენილი ერთადერთი გერმანელის, ბარბარა რიტნერის გამარჯვება, თორემ მსოფლიოში მე-12 ჩოგნის მქნეველი მისკინა რომ კვეტა პრდლიკოვას მოუგებდა, ეგ ურიუპინსკშიც იცოდნენ.

**ლევან ძილაურაძე**

# მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ

## ჯორდანმა კალათბურთს სიყვარული აუხსნა. მერამდენედ!



**კალათბურთის** მილიონობით გულშემატკივარმა ხუთშაბათს შვებით ამოისუნთქა — მაიკლ ჯორდანმა საახალსეზონო მზადყოფნა საქვეყნოდ გამოაცხადა.

ჯორდანს არც უთქვამს, მივდივარო, მაგრამ როცა მტკივანი მუხლით გატანჯულმა წინა სეზონი ტრავმითვე დაასრულა, უმრავლესობის აზრით, ეს ჯორდანის აქტიური სპორტიდან წასვლას ნიშნავდა. თუმცა კალათბურთის სიყვარულმა მას ტრავმაც მოაშუშებინა და გადაღლილ-დამძიმებული სხეულიც აუმჩატა.

— გახარებული ვარ, ტრავმა რომ მოვიშუშე და წლეულს მოედანს დავუბრუნდები. კალათბურთის სიყვარულმა შემაძლებინა სხეულის ძლევა და ამავე გრძნობამ მიმალებინა ეს გადაწყვეტილება.

ბოლო სეზონში ჯორდანს მუხლის ტრავმის გამო 22 თამაში გაუცდა, მის „ვაშინგტონ ვიზარდსს“ კი ამის გამო პლეი ოფში გაღწევის არცთუ ურიგო შანსი გაუფრინდა. „ვიზარდსთან“ მაიკლმა შარშან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობა თითქმის შეგუებული იყო იმ აზრს, რომ ცოცხალი ლეგენდა „ვიზარდსს“ ველარ დაეხმარებოდა და სეზონთშორის პერიოდში რამდენიმე უკანახაზელი შეიძინა.

ჯორდანი კი აცხადებს: „ჩინებულ ფიზიკურ ფორმაში ვარ. მკურნალობამ და ვარჯიშმა სასურველი შედეგი გამოიღო. წვრთნის ისეთი ინტენსიური და ნაყოფიერი კურსი გავიარე, მოედანს საუკეთესო ფორმაში დავუბრუნდები.“

ჯორდანი ახლა სეზონისწინა კემპისთვის ემზადება, რომელსაც „ვიზარდსი“ ხუთშაბათიდან დაიწყებს.

**ირაკლი სახეჩიძე**

# 2002–2003 აილესა ყვანჯები

## აღმოსავლეთ კონფერენცია

### სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონი



იარომირ იაგრი

**კაროლინა ჰერიკეინსი**

**მოვიდა:** მცველი სტივ ჰალკო

**წავიდა:** ფორვარდი მარტინ გელინა; მეკარე ტაილერ მოსი

***2001-02: 91 ქულა და პირველი ადგილი დივიზიონში. პლეი ოფში ფინალში გავიდა***

სწორედ კაროლინას უნდა უმადლოდეს სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონი, წლეულს ყურადღების ცენტრში რომ მოექცა. მართალია, გადამწყვეტ ბრძოლაში „ქარიშხლები" დეტროიტმა გაანადგურა, მაგრამ ფინალში გასვლა თავისთავად უდიდესი მიღწევაა ოდესღაც საშუალო გუნდისთვის. იმედია, კაროლინა თანადივიზიონელი ფლორიდის ბედს არ გაიზიარებს, რომელიც 1996 წელს ფინალში გავიდა, მერე კი მაჩანჩალებში გაერია. ამის გარანტად შენარჩუნებული შემადგენლობა და ბრძოლებში მოპოვებული თავდაჯერება უნდა იქცეს. ისე, ერთი-ორი კარგი შენაძენი გუნდს ნამდვილად არ აწყენდა, მაგრამ ხელმძღვანელობამ წინა სეზონის გმირებთან კონტრაქტების განახლება ამჯობინა.

კაროლინა დივიზიონის მთავარ ფავორიტად რჩება, თუმც ვინ იცის, შეძლებს კი იგი 2002 წლის გაზაფხულის გმირობის გამეორებას.

**ვაშინგტონ კაპიტალსი**

**მოვიდნენ:** ფორვარდები რობერტ ლანგი, კიპ მილერი; მწვრთნელი ბრიუს კესიდი

**წავიდნენ:** ფორვარდი ულფ დალენი; მეკარე კორი ჰირში; მწვრთნელი რონ უილსონი

***2001-02: 85 ქულა და მე-2 ადგილი დივიზიონში. პლეი ოფში ვერ გავიდა***

წარმოუდგენელია, ასეთი შესაძლებლობების გუნდი ზედიზედ მეორედ ვერ ხვდებოდეს პლეი ოფში. წინა სეზონში იარომირ იაგრის უიღბლო დებიუტის შემდეგ გუნდის თავკაცებმა სწორი დასკვნები გააკეთეს და ძალ-ღონე არ დაიშურეს, რათა დამდეგ სეზონში თავიანთ სუპერფორვარდს მაქსიმალური კომფორტი შეუქმნან. სწორედ ამიტომ შეიძინეს რობერტ ლანგი და კიპ მილერი, რომლებიც თავის დროზე იაგრის პარტნიორები იყვნენ პიტსბურგში. გარდა ამისა, გუნდში ახალი მწვრთნელი მივიდა, ბრიუს კესიდი. იგი შეტევი ჰოკეის მოტრფიალეა, რაც იაგრს ძალიან შეუწყობს ხელს. თუმც გუნდს პეტერ ბონდრა, ოლაფ კოლციგი და სხვა ბევრი ძლიერი მოთამაშეც ჰყავს და თუ წლეულს დედაქალაქელები ტრავმების ეპიდემიას გადაურჩნენ, დივიზიონში გამარჯვებისთვის აუცილებლად იბრძოლებენ.

**ტამპა ბეი ლაითნინგი**

**მოვიდნენ:** ფორვარდები რუსლან ფედოტენკო, ბრედ ლაკოვიჩი

**წავიდა:** მეკარე დიტერ კოჩანი

***2001-02: 69 ქულა და მე-3 ადგილი დივიზიონში. პლეი ოფში ვერ გავიდა.***

მეკარე ნიკოლაი ხაბიბულინის მისვლამ ერთ სეზონში მოუტანა გუნდს დივიდენდები, წინასთან შედარებით „ელვებმა" 10 ქულით მეტი მოიგრეს და 61 შაიბით (!) ნაკლები გაუშვეს. ახლა ისღა დარჩათ, „ბულინის კედლის" ირგვლივ ძლიერი ციხესიმაგრე ააგონ. მოხერხდება ეს თუ არა, ძირითადად ვენსან ლეკავალიეზეა დამოკიდებული. 1998 წლის დრაფტის ნომერ პირველს ჯერაც არ გაუმართლებია იმედები. მეტიც, მან წინა სეზონი საკონტრაქტო დავას გადააყოლა და კაპიტნის წოდებაც დაკარგა, თუმც გუნდის ბოსებს მაინც სჯერაც მისი. ასე რომ არ იყოს, ხომ სხვაგან გაუშვებდნენ.

**ფლორიდა პანტერსი**

**მოვიდნენ:** ფორვარდი სტეფან მატაი; მცველები ბრანისლავ მეზეი, დმიტრი იუშკევიჩი.

**წავიდნენ:** მეკარე ტრევორ კიდი; მცველი რობერტ შვეჰლა; ფორვარდი ჯეისონ უიმერი.

***2001-02: 60 ქულა და მე-4 ადგილი დივიზიონში. პლეი ოფში ვერ გავიდა.***

ზაფხულში მაიკ კინენმა 2007 წლამდე გაახანგრძლივა კლუბთან კონტრაქტი. ეს იმას ნიშნავს, რომ ფლორიდაში აფასებენ ამ ცნობილ სპეციალისტს, სჯერათ მისი. თავის მხრივ, ალბათ კინენიც დარწმუნებულია წარმატებაში, თორემ გუნდში რატომ დარჩებოდა.

არადა, რა ბრწყინვალე „საშენი მასალა" ჩაუვარდა ხელში: მეკარე რობერტო ლუონგო, ფორვარდები — კრისტიან ჰუსელიუსი, ნიკლას ჰაგმანი და ბევრი სხვა. უკლებლივ ყველას დიდი მომავალი უნდა ჰქონდეს, მათი ნაკლი კი გამოუცდელობაა, მაგრამ ამას დრო სჭირდება და კინენსაც არავინ აჩქარებს.

**ატლანტა თრეშერსი**

**მოვიდნენ:** ფორვარდები ვიაჩესლავ კოზლოვი, შონ მაკიკერნი, კრის ჰერბერგერი; მცველები უვე კრუპი, რიხარდ შმეჰლიკი.

**წავიდნენ:** მცველები ტოდ რირდენი, ბრაიან პოტიე; ფორვარდი ბრაიან ადამსი

***2001-02: 54 ქულა და მე-5 ადგილი დივიზიონში პლეი ოფში ვერ გავიდა.***

სამი სეზონი დასჭირდათ ატლანტის მესვეურებს, რათა შეეგნოთ, რომ მხოლოდ ერთ-ორი ვუნდერკინდი და მებრძოლთა კოლექტივი წარმატებას ვერ მოუტანდა, გუნდს სერიოზული დაკომპლექტება სჭირდებოდა. ამჯერად „თრეშერები" სატრანსფერო პოლიტიკაში ოთხიანს მაინც იმსახურებენ. ერთადერთი, რაც ვერ შეძლეს ზაფხულში, ის არის, რომ საიმედო მეკარე ვერ შეიძინეს. თუმც თუ გუნდი დედლაინამდე საპლეიოფო პერსპექტივას შეინარჩუნებს, ეგებ ეს პრობლემაც მოგვარდეს.

ზემოთ ვუნდერკინდები ვახსენეთ და აქვე დავძენთ, რომ ილია კოვალჩუკი და დანი ჰიტლი წლეულს შარშანდელივით ვერ გაიბრწყინებენ, გაუჭირდებათ, რადგან ცნობილია, რომ ახალბედებისთვის მეორე სეზონი პირველზე მძიმეა.

**სამველ ლარიბიანი**



მაიკ კინენი ფლორიდაში მომავლის გუნდის შენებას გააგრძელებს



**ვუელტა**
**7 - 29 სექტემბერი**



სანტიაგო ბლანკო

# ბლანკო, ქვრივივით მარტო

**მე-18** ეტაპის ფინიშთან ბანესტოელი სანტიაგო ბლანკო კი მივიდა პირველი, მაგრამ არც გულშემატკივრებსა და არც ტელეობიექტივებს მისთვის მაინცდამაინც არ ეცალათ. ყველანაირი თვალი მიპყრობილი იყო სულ სამი-ოთხი სპორტსმენისკენ, რომლებიც კოვატილას ათკილომეტრიან აღმართზე არკვევდნენ ურთიერთობას. ერასი, ბელოკი, გონსალესი და სევილია. ეს ოთხეული თითქმის 6-წუთიანი დაგვიანებით მიადგა აღმართის დასაწყისს. სანტიაგო ბლანკოს — ეტაპის მომავალ გამარჯვებულს — ამ დროისთვის დაახლოებით ორი კილომეტრი უკვე ავლილი ჰქონდა.

მკითხველი ალბათ უკვე ხვდება, საიდან და როგორ გაჩნდა ბლანკოსა და ვუელტას ლიდერებს შორის ასეთი სხვაობა. როგორ და, ეტაპის დასაწყისშივე ათიოდე დაუდეგარმა მრბოლმა მიატოვა პელოტონი და რადგან ყველა ლიდერი ძირითად ჯგუფში დარჩა და მშვიდად განაგრძო რბოლა, სხვაობა გაქცეულებსა და პელოტონს შორის, ცხადია, თანდათან გაიზარდა. როგორც უკვე ვთქვი, ბოლო აღმართის წინ ეს განსხვავება 6 წუთი იყო.

თუმცა მანამდე საკმაოდ რთული გზა ჰქონდათ გასავლელი გაქცეულებსაც და მდევრებსაც — 180 კილომეტრი და სამი მთა — პუერტო დე ჰონდურასი (1450 მ), პუერტო დე ტორნავაკასი (1150 მ) და პუერტო დე ტრენედი (1640 მ). ფინალური აღმართი ულეტეხილ ბეხარაზე ზღვის დონიდან 2000 მეტრზე მაღლა იდო. ამ ბოლო ათკილომეტრიან აღმართამდე ლიდერები ფხიზლად დარაჯობდნენ ერთიმეორეს. უფრო გასაგები რომ იყოს, ვინ რა და რატომ მოიმოქმედა, ორიოდე სიტყვით აღვნიშნავთ, რომ დასკვნით 21-ე ეტაპზე სპორტსმენებს 40-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლა ელით, რომელშიც ამჟამინდელი ლიდერი, სპეციალისტების აზრით, საგრძნობლად ჩამორჩება გონსალესსაც, ბელოკისაც და სევილიასაც. ამიტომ სავსებით გასაგებია აღმართის დასაწყისშივე ერარის მცდელობა, როგორმე გაქცეოდა კონკურენტებს, რათა ბოლო ეტაპისთვის სოლიდური მარაგი შეექმნა. ანგლირუზე ერასმა ეს მოახერხა. საბოლოოდ, მე-18 ეტაპზეც რაღაც წაუმატა ამ მონაგარს, მაგრამ საკმარისი იქნება თუ არა ეს მარაგი საბოლოო გამარჯვებისთვის, ახლა მართლაც ძნელი სათქმელია.

**ირაკლი ბერიაშვილი**

| მე-18 ეტაპი |
| --- |
| სალამანკა — ლა კოვატილა 193,7 კმ |
| 1 სანტიაგო ბლანკო („ბანესტო") 5 სთ 04 წთ 17 წმ |
| 2 რობერტო ერასი (US პოსტალი) +39 წმ |
| 3 ანტონიო კლემა („ბანესტო") +47 წმ |



**F1**

მეთექვსმეტე ეტაპი — აშშ-ის დიდი პრიზი

## მოტორ სპიდვეი

*ინდიანაპოლისი, 29 სექტემბერი*




| | |
| --- | --- |
| ტრასის სიგრძე | 4.192 კმ |
| რბოლის დისტანცია | 73 წრე — 306.016 კმ |

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 23 საათზე*

**შარშანდელი შედეგები:** 1 ჰაკინენი (მაკლარენი); 2 მ.შუმახერი (ფერარი); 3 კულჰარდი (მაკლარენი); 4 ირვინი (იაგუარი); 5 ჰაიდფელდი (ზაუბერი); 6 ალეზი (ჯორდანი)

**წრის რეკორდი:** 2001 — მონტოია (უილიამსი) 1:14.448 (202,7 კმ/სთ)

**საგანგებოდ** მეფორმულეთა გაჯიბრებისთვის სახეცვლილი „ინდიანაპოლის მოტორ-სპიდვეი" მესამედ მასპინძლობს სამეფო რბოლებს. კომბინირებული ტრასა ლეგენდარული, თითქმის საუკუნის ხნის „ოვალის" ორკილომეტრიან ზეჩქაროსნულ მონაკვეთს და ახალმოწყობილ, დაახლოებით იმავე სიგრძის ჩახვეულმოსახვევებიანი, ნელი უბნის ჰიბრიდს წარმოადგენს, რაც ბოლიდებს დიდ სირთულეს უქმნის.

თითქმის ათწლიანი იზოლაციის შემდეგ ამერიკული ეტაპის აღდგენა ფორმულისა და იქაური „ინდი-კარტის" დამეგობრების სიმბოლო გახდა, თუმც ზარზეიმით მხოლოდ პირველად აღინიშნა — სადებიუტო რბოლას 200 ათასი მაყურებელი დაესწრო. მერე აუდიტორია შეთხელდა, რადგან იანკებს თავიანთი საკულტო, ინდიანაპოლისის 500-მილიანი ზემარათონის ცქერა ყველაფერს ურჩევნიათ. თანაც აშშ-ის დიდი პრიზი საფორმულო სეზონის მიწურულს თამაშდება, როცა ჩემპიონის ვინაობა უკვე ვადამდე გარკვეულია.

ხვალინდელ რბოლაში ყველაზე მნიშვნელოვანი ალბათ ის იქნება, რომ რუბენს ბარიკელო და „უილიამსი" ოფიციალურად გაიფორმებენ ვიცე-ჩემპიონობას. საამისოდ პილოტსაც და საჯინიბოსაც სამ-სამი ქულა ეყოფათ.

მიხაელ შუმახერს და ბარიკელოს შანსი აქვთ, „მაკლარენის" ლეგენდარული წყვილის — აირტონ სენასა და ალენ პროსტის მიერ 14 წლის წინ დამყარებული რეკორდი გააუმჯობესონ. ბრაზილიურ-ფრანგულმა დუეტმა 1988 წელს 199 ქულა დააგროვა. ფერარელებს ფორმულა 1-ის ამ ერთ-ერთი ყველაზე ხნოვანი მიღწევის დამხობამდე 11 ქულა აკლიათ.

ბოლოს იმაზეც, რომ 22 წლის ინგლისელი ჯენსონ ბატონი ფორმულის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მრბოლი გახდება, ვინც საიუბილეო, 50-ე ეტაპზე გაიჯირითებს, რომ ჯიბეგაფხეკილი „ერუსი" ალბათ ვერც ამჯერად შეძლებს სტარტზე გასვლას, ხოლო წინა ეტაპზე წესის დარღვევისთვის დაჯარიმებული ფელიპე მასას ადგილს „ზაუბერში" ვეტერანი ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი დაიკავებს.




REUTERS ინფორმაციისთვის ... [credit]

ფერარელები ხვალ მორიგი რეკორდის დამხობას აპირებენ

**ფლევანდელთა ამერიკული მონაგარი**

| | | ადგილი ჩასათვლელ ექვსეულში | | |
| --- | --- | --- | --- | --- |
| | რბოლა | 2000 | 2001 | ქულა |
| მ. შუმახერი | 2 | I | II | 16 |
| ბარიკელო | 2 | II | გ | 6 |
| კულჰარდი | 2 | V | III | 6 |
| ფრენცენი | 2 | III | - | 4 |
| ვილნევი | 2 | IV | გ | 3 |
| ტრული | 2 | გ | IV | 3 |
| ირვინი | 2 | - | V | 2 |
| ჰაიდფელდი | 2 | - | VI | 1 |
| რ. შუმახერი | 2 | გ | გ | 0 |
| ბატონი | 2 | გ | - | 0 |
| ფიზიკელა | 2 | გ | - | 0 |
| დე ლა როსა | 2 | გ | - | 0 |
| სალო | 1 | გ | | 0 |
| მონტოია | 1 | | გ | 0 |
| პანი | 1 | | - | 0 |
| ბერნოლდი | 1 | | - | 0 |
| რაიკონენი | 1 | | გ | 0 |
| იონგი | 1 | | გ | 0 |

შენიშვნა: გ — რბოლას გამოეთიშა;
ცხრილში არ არიან დებიუტანტები — სატო, მასა, მაკნიში, ვებერი

2003 წლის მსოფლიოს თასი. შესარჩევი ტურნირი

28 სექტემბერი. 19 საათი

## ირლანდია – საქართველო

დუბლინი. «ლენსდაუნ როუდი»

# ვისკი: ჭაჭას არაუშავს. ჭაჭა: ვოდკა ვნახე დაქცეული

**ირლანდიის** დედაქალაქ დუბლინს გუშინ ოცდაათამდე ქართველი და რამდენიმე ფრანგი შეემატა. საქართველოს ნაკრები გუშინ დილით მონპელიედან ჩაფრინდა დუბლინში და „ლენსდაუნ როუდის" ახლოს მდებარე სასტუმროში დაბინავდა.

შუადღით ქართველებმა მატჩის ადგილი, „ლენსდაუნ როუდი" მოინახულეს, სადაც ოთხი წლის წინ ირლანდიასთან 0:70 წააგეს. ჩვენებს ამ უძველეს სტადიონზე არ უვარჯიშიათ. ფეხბურთისგან განსხვავებით, რაგბიში მატჩის წინა დღეს მოედნის საწვრთნელად გამოყენება მიზანშეწონილი არაა. ბორჯღალოსნებმა სათადარიგო მოედანზე ივარჯიშეს. დამრტყმელებს პალიკო ჯიმშელაძეს და მალხაზ ურჯუკაშვილს კი ნება დართეს „ლენსდაუნ როუდის" მოედნისთვის და კარისთვის ელოთ ალღო.

სორელმა სიტყვა არ გადათქვა — ადრე დასახელებული საბრძოლო შემადგენლობა ჩაიყვანა დუბლინში. ცვლილებები არც დამწყებ თხუთმეტეულშია, უბრალოდ, სორელმა ტრავმირებული გია ლაბაძის შერკინების ფრთა ილია ზედგინიძეს ჩაბარა. შერკინების შემკვრელად კი გიორგი ჩხაიძეს დააყენებს.

გუშინ გადაწყდა, რომ დღეს ვერ ითამაშებს „სამყურების" ლიდერი და მსოფლიოს საუკეთესო მორაგბე კიტ ვუდი. ვუდი კისრის მსუბუქი ტრავმის გართულებას მოერიდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველო სულ ცოტა ერთი ლელოთი ნაკლებს გაუშვებს.

ნავარჯიშევს ორივე გუნდის მწვრთნელებმა ჟურნალისტების კითხვებს უპასუხეს. კლოდ სორელი: მატჩი ჩვენთვის იმ მხრივაა მნიშვნელოვანი, რომ მსოფლიო რაგბის გრანდს ვეთამაშებით. წინასწარ ვიცით, რომ წავაგებთ. ამდენად, ამ მხრივ შეხვედრას დიდი მნიშვნელობას არ ვანიჭებთ. მთავარი მატჩი 13 ოქტომბერს გვაქვს. თბილისში, რუსეთს უნდა მოვუგოთ".

ირლანდიელთა მწვრთნელი ედი ოსალივანი: „ციმბირში მოგზაურობამ ძალიან გადაგვღალა. ბიჭებმა ბოლომდე ვერ აღიდგინეს ძალები, თუმც ხვალ მაინც მოვიგებთ, უბრალოდ სხვაობა გაცილებით ნაკლები იქნება, ვიდრე ოთხი წლის წინ იყო. საქართველო კარგად ორგანიზებული გუნდია. ძლიერი შერკინება ჰყავს, უკანახაზშიც მოეძებნება მორაგბეები, რომელთაგანაც საფრთხეს უნდა ველოდოთ. ისინი ძალიან სწრაფები არიან. შვიდკაცა რაგბის მსოფლიო სერიაში მათ ორჯერ მოგვიგეს, რაც ქართველების ტექნიკურობაზე მეტყველებს. მჯერა, ხვალ ლამაზ რაგბის ვიხილავთ."

მატჩი ჩვენი დროით საღამოს შვიდ საათზე დაიწყება. სამწუხაროდ, ქართველ ქომაგს მატჩის ყურების საშუალება არ ექნება. საქართველოში ვერ მოიძებნა ტელეკომპანია, რომელიც ირლანდიელებს 6 ათას დოლარს გადაუხდიდა და პირდაპირ რეპორტაჟის უფლებას იყიდიდა.

**ბაჩო სვანიძე**

| საქართველო | | ირლანდია |
|---|---|---|
| ბესიკ ხამაშურიძე | 15 | გირვან დემპსი |
| მალხაზ ურჯუკაშვილი | 14 | ჯონ კელი |
| თედო ზიბზიბაძე | 13 | ბრაიან ოდრისკოლი |
| კახა ალანია | 12 | კევინ მაგსი |
| ბადრი ხეხელაშვილი | 11 | დენის ჰიკი |
| პალიკო ჯიმშელაძე | 10 | რონან ოგარა |
| ირაკლი აბუსერიძე | 9 | პიტერ სტრინგერი |
| გიორგი ჩხაიძე | 8 | ენტონი ფოლი |
| ილია ზედგინიძე | 7 | კით გლისონი |
| დავით ბოლღაშვილი | 6 | საიმონ ისტერბი |
| ვიქტორ დიდებულიძე | 5 | მალკოლმ ოკელი |
| ვანო ნადირაძე | 4 | გარი ლონგველი |
| ლევან ცაბაძე | 3 | ჯონ ჰეისი |
| აქვსენტი გიორგაძე | 2 | შეინ ბირნი |
| გოდერძი შველიძე | 1 | რეჯი კორიგანი |
| **სათადარიგონი** | | |
| მევლუდ მთიულიშვილი | 16 | ფრენკ შიჰანი |
| ტარიელ რატიანიძე | 17 | პოლ უოლესი |
| ირაკლი გუნდიშვილი | 18 | ლეო კულენი |
| ზურაბ მჭედლიშვილი | 19 | ალან ქუინლანი |
| ოთარ ბარკალაია | 20 | გაი ისტერბი |
| ვასილ კაცაძე | 21 | დევიდ ჰემფრიზი |
| გუჯა იოვაძე | 22 | რობ ჰენდერსონი |

# ჩვენ რომ მთავრობას ვუყუროთ...



ნუგზარ ბარდაველიძის ფოტო

„სახალხო პარტიის" ლიდერი მამუკა გიორგაძე მორაგბეებს თავისწილად შეეწია

**საქართველოს** ნაკრებმა ისე მოაწყო შეკრებები, სახელმწიფოსგან თეთრი არ მიუღია. ბორჯღალოსნებს დუბლინში გასამგზავრებელი ფული არ ჰქონდათ, მაგრამ ყურიც არავინ შეიბერტყა. ნისიად აღებული ბილეთებით ნაკრები ახლა დუბლინშია, მაგრამ თბილისში ჩამოსასვლელი და სარუსეთოდ მოსამზადებელი ფული აღარ არის.

საბედნიეროდ, მთავრობისგან მიტოვებული ბორჯღალოსნები საზოგადოებამ არ გაწირა და გუშინ პირველი ნაბიჯი გადადგა მორაგბეთა დასახმარებლად. დაახლოებით ორმოცამდე კაცი სპორტის დეპარტამენტის საქტო დარბაზში შეიკრიბა და ყველამ თავისი წილი გაიღო ბორჯღალოსნებისთვის. იქ იყვნენ სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი გიგლა ბარამიძე, „სახალხო პარტიის" ლიდერები — ყოფილი მორაგბე მამუკა გიორგაძე და ვანო ხუხუნაიშვილი, „მხედრიონის" წევრი თორნიკე ბერიშვილი, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, აკადემიკოსები და უბრალო მოქალაქეები. როგორც გაირკვა, გუშინდელ შეკრებაზე მისვლა ყველამ ვერ შეძლო და მათთვის ორგანიზაცია „რაგბის მხარდამჭერთა ლიგამ" საბანკო ანგარიშიც გახსნა, თანხა რომ გადარიცხონ. ყულაბაში პირველი შესაწირი გიგლა ბარამიძემ ჩააგდო და მას დანარჩენებიც მიჰყვნენ. ფული რომ აღრესატამდე მივა, ამას წყალი არ გაუვა.

ასეთივე ნახევრადოვალური ყულაბები ქალაქის რამდენიმე უბანში დაიდგმება. ნებისმიერს შეეძლება ბორჯღალოსანთა სარუსეთოდ მზადებისთვის მოკრძალებული წვლილი შეიტანოს.

ორგანიზაციებისთვის ან კერძო პირებისთვის, რომელთაც გადარიცხვა ურჩევნიათ, კომერციულ ბანკ „მერკურიში" „რაგბის მხარდამჭერთა ლიგის" საბანკო ანგარიში ასეთია: *000609040.* კოდი: *220101755.*

# როგორ ადღეგრძელებენ ირლანდიას

# უმალ ოკეანე უფრო დაშრება...

## სიტყვა თქმული IRB-ის ღრმადპატივცემული თავმჯდომარის ვერნონ პიუს მიერ. შესაძლოა, ვისკით ხელში

**ერთმა** ფრანგულმა გაზეთმა დაწერა, ირლანდიელების წინაპარი კელტები დალეპული თანამებრძოლების სისხლს სვამდნენ. მათი რწმენით, მიცვალებულთა ძალა ცოცხლებში გადავიდოდა ისე გავაკეთოთ, რომ სისხლისმსმელების შთამომავლებს ბრძოლის სურვილი მოუკლათო.

წერილი, საიდანაც ეს პატარა ნაწყვეტია მოტანილი, წლევანდელი ექვსი ერის საფრანგეთ — ირლანდიის მატჩის წინ გამოქვეყნდა. ფრანგებს იმხანად ოლონდ მეტოქისთვის გაეკრათ კბილი, სხვა ნაკლებად აინტერესებდათ. მსოფლიო კი ირლანდიის ნაკრებს ვამპირებად კი არა, ბევრად უკეთესი მეტსახელით იცნობს.

„უტეხი სული" — ორი სიტყვით ასე ხასიათდება ირლანდიური რაგბი. თავდადებით და მებრძოლი ჟინით ირლანდიელები ხშირად გასულან ფონს და ბევრი მოწინააღმდეგეც გაუტეხავთ.

ირლანდიურ რაგბის საუკუნეზე მეტი ისტორია აქვს. კუნძულელებმა რაგბის კავშირი 1874 წელს დააარსეს და 1886 წელს რაგბის საერთაშორისო საბჭოში (IRB) გაწევრიანდნენ. სხვათა შორის, IRB-ის ოფისი დუბლინშია და ირლანდიაც მისი ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი ძალაა.

ირლანდიელებისთვის რაგბი იგივეა რაც ამერიკელებისთვის ნბა. სკოლებში რაგბის ჯგუფებია, სადაც მოზარდებთან პროფესიონალი მწვრთნელები მუშაობენ. მერე მოდის საკოლეჯო რაგბი, სადაც პროფესიულ კლუბებს პერსპექტიული ჯგუფები თავისთან მიჰყავთ. სწორედ კოლეჯის გუნდებში თამაშით გაითქვეს სახელი „სამყურების" დღევანდელმა ლიდერებმა — კიტ ვუდმა, დევიდ ჰემფრიზმა, ბრაიან ოდრისკოლმა და დენის ჰიკიმ. 23 წლის ოდრისკოლი კი დღემდეც „ბლექროკ კოლეჯში" თამაშობს.

ქვეყანაში, რომელიც ოთხ მილიონამდე მოსახლეს ითვლის, 16 500 პროფესიონალი მორაგბე და 221 კლუბია. ალარაფერს ვამბობთ ჭაბუკ და ახალგაზრდა მორაგბეებზე რომლებიც სამჯერ აღემატებიან პროფესიონალებს და თავიანთ შანსს ელიან.

სარაგბო მეურნეობა შვეიცარიული საათივითაა აწყობილი. ამას წინათ IRB-ის თავმჯდომარემ, უელსელმა ვექილმა ვერნონ პიუმ თქვა, უმალ ოკეანე უფრო დაშრება, ვიდრე ირლანდიას მსოფლიოს დონის ვარსკვლავები გამოელევაო.

ვარსკვლავები მართლაც ბევრი ჰყავს დღევანდელ ირლანდიას. მათგან კი ყველაზე კაშკაშა მსოფლიოს საუკეთესო მორაგბე კიტ ვუდი, ბრაიან ოდრისკოლი, რონან ოგარა და დევიდ ჰემფრიზი არიან.

სწორედ ამ თაობის ეიმედებათ ირლანდიაში და სჯერათ, რომ ბოლოს და ბოლოს ნავსი გატყდება და „სამყურები" მსოფლიოს საუკეთესო ოთხ გუნდში მოხვდებიან.

ბოლო მსოფლიოს თასზე (1999 წელი) ირლანდია მეოთხედფინალში დამარცხდა არგენტინასთან და ამიტომ უწევს შესარჩევ ტურნირში მონაწილეობა, თორემ მეოთხედფინალისტები პირდაპირ ხვდებიან თასის ფინალურ ეტაპზე. მანამდელ სამ გათამაშებაში (1987, 1991, 1995) ირლანდია როგორც წესი მეოთხედფინალში გადიოდა.

წარმატების მისაღწევად მხოლოდ სიმამაცე და თავგანწირვა რომ აღარ კმაროდა, ირლანდიელები ტექნიკასა და ტაქტიკასაც მიებალნენ და შეეცადნენ, მხოლოდ ჩხუბითა და აყალმაყალით არ დაემახსოვრებინათ თავი ქომაგისთვის.

1999 წლის მსოფლიოს თასზე მეოთხედფინალიდან გავარდნის შემდეგ ირლანდიური რაგბის მამებმა მწვრთნელად ედი ოსალივანი დანიშნეს.

ოსალივანის გუნდში მოსვლით დისციპლინა და ირლანდიელთა კლასი ერთმანეთს შეერწყა. „ეს სულ სხვა გუნდია. ასე მგონია, ღამით თავქარიანმა ბიჭებმა დავიძინეთ და დილით ჩამოყალიბებულმა მორაგბეებმა გავიღვიძეთ. ახლა უკვე შეგვიძლია, საფრანგეთს, ინგლისს, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიასაც მოვუგოთ"— ამბობს კიტ ვუდი და ირლანდიელთა „გამოსწორების" მთავარ მიზეზს ედი ოსალივანს მსოფლიოში საუკეთესო მწვრთნელად მიიჩნევს.

**ბაჩო სვანიძე**

# ლიდერები



### კიტ ვუდი

ამპლუა: მორკინალი
კლუბი: „ჰარლექუინზი" (ინგლისი)
ასაკი: 30 წლის
სიმაღლე: 173 სმ
წონა: 106 კგ
ნაკრებში ჩატარებული მატჩი: 51
ქულა: 70; ლელო: 14

### ბრაიან ოდრისკოლი



ამპლუა: შუამარბი
კლუბი: „ბლექროკ კოლეჯი" (ირლანდია)
ასაკი: 23 წლის
სიმაღლე: 180 სმ
წონა: 90 კგ
ნაკრებში ჩატარებული მატჩი: 29
ქულა: 79; ლელო: 14; არეკნი: 3



### დევიდ ჰემფრიზი

ამპლუა: გარე ნახევარმცველი
კლუბი: დანგანონი (ირლანდია)
ასაკი: 31 წლის
სიმაღლე: 178 სმ; წონა: 83 კგ
ნაკრებში ჩატარებული მატჩი: 45
ქულა: 327; ლელო: 2;
გარდასახვა: 34; საჯარიმო: 76; არეკნი: 7

### რონან ოგარა



ამპლუა: გარე ნახევარმცველი, მცველი
კლუბი: „კორკ კონსტიტუშენ" (ირლანდია)
ასაკი: 25 წლის
სიმაღლე: 180 სმ; წონა: 83 კგ
ნაკრებში ჩატარებული მატჩი: 24
ქულა: 225; ლელო: 3;
გარდასახვა: 45; საჯარიმო: 40


REUTERS

# კიდევ გოლიათი

რახან აზიის თამაშები გახურდა და იქაურ ამბებსაც მოგითხრობთ, ერთი ძველი ნაცნობიც უნდა გიჩვენოთ: მთელ ჩინეთზე ბევრად მაღალია ენბიეიში დაბევებული კალათბურთელი იაო მინგი, რომელიც თავისი ქვეყნის დელეგაციაში კოშკივით ამოზრდილა.

# ტაიგერი და ელინი

რაიდერის თასის საგოლფე გათამაშება ეს წუთია, გაიხსნა და ტაიგერ ვუდსი, რომელიც ამ შეჯიბრში, ცხადია, ამერიკას წარმოადგენს, თავის გელფრენდთან ერთად მოაბიჯებს. გოგო ტომით ნორვეგიელია და ელინ ნორდეგრენი ჰქვია. შეჯიბრი სამ დღეს გასტანს.


REUTERS

# ძელებზე, ძელებზე, ძელებზე, ჩქარა

ეს ლუისვილია, კენტუკის შტატი და სტუდენტების ამერიკული ბურთაობა თავსხმა წვიმაში. ლუისვილის უნივერსიტეტის გუნდი ფლორიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს ამარცხებს და ლუისვილელი გულშემატკივარიც ისე ხარობს, რომ კარის ძელს შესევია. ზოგადად, ფლორიდა უფრო ძლიერია, ვიდრე ლუისვილი და სიხარულმაც ამიტომ გადალახა საზღვრები.


REUTERS

# უკვდავი

ქალთა კულტურიზმის, ფითნესის განთქმული ამერიკელი სპეციალისტი ჯეკ ლალანი ოთხმოცდარვა წლისა მოყრილა და ჰოლივუდის დიდების ხეივანში თავისი ვარსკვლავით იწონებს თავს. მისტერ ლალანმა ჯერ კიდევ 50-იან წლებში დაიწყო ტელევარჯიშების სწავლება.


REUTERS


REUTERS

# ტალღის დამჭერი

ეს უცნაური ამბავია: აბა, როდის იყო, რომ სერფინგის ოსტატები მდინარეში ეძებდნენ ტალღებს? ამისთვის ზღვაა საჭირო, თუმცა ბრაზილიაში, არაგუარის მდინარეში არის ერთი ადგილი, სადაც ზღვიდან შემოსული ტალღები აღწევს. ბუნების აცნაურობას ალღო სერფინგის მოყვარულებმაც აუღეს. ამ ადგილამდე ნავით უნდა მიცურდე და მერელა გადახტე წყალში, რათა ტალღები დაიჭირო. 41 წლის შაკუ მინეიროც ასე იქცევა.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო აბულეძიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია აბალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეხელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, ხვიჩა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge